შპს ,,ქართუ უნივერსალი"

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

31 დეკემბერი 2020 წელი

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებები:
ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება 1
მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ინდივიდუალური ანგარიშგება 2
კაპიტალის ცვლილებების ინდივიდუალური ანგარიშგება 3
ფულადი ნაკადების ინდივიდუალური ანგარიშგება 4

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1 ზოგადი ინფორმაცია
2 კომპანიის საოპერაციო გარემო
3 ძირითადი ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების შეჯამება
4 ინფორმაცია შეფასების, გაურკვევლობისა და გადაწყვეტილების ძირითადი წყაროების შესახებ
5 ახალი ან შესწორებული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება
6 ახალი საბუღალტრო აღრიცხვის დებულებები
7 ძირითადი საშუალებები
8 არამატერიალური აქტივები
9 მარაგები
10 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები
11 დამკვეთებთან დადებული ხელშეკრულებებიდან წარმოშობილი აქტივები და ვალდებულებები
12 ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები
13 საწესდებო კაპიტალი
14 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები
15 ანარიცხები ვალდებულებების და გადასახადის შესახებ
16 ამონაგები
17 თანამშრომელთა ხარჯები
18 ფინანსური რისკის მართვა
19 კაპიტალის მართვა
20 რეალური ღირებულების განმარტებითი შენიშვნები
21 შეფასების კატეგორიის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა
22 საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

შპს ,,აუდიტი - A"

საქართველო, ქ. თბილისი ზღვისუბნის
დასახლება, კვარტალი IX, კორპუსი N15, ბინა N24
მობ.: 577429137; 591191705
ელ-ფოსტა: alania49@mail.ru ;
ს/კ400290662

,,AUDITI - A" LLC

Georgia, Tbilisi, Nadzaladevi
Tsgvisubani settlement, quarter IX
building N15, apartment N24
mob.: 577429137; 591191705
E-mail: alania49@mail.ru

For and on behalf of „ Audit A" LLC (Reg.№ SARAS-F-911029) Jemal Alania (Reg.№SARAS-A-336078)

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს ,,ქართუ უნივერსალის'' მფლობელს და მმართველობას:

ჩვენი მოსაზრება

ჩვენ დაგვიქირავეს შპს ,,ქართუ უნივერსალის" (შემდგომში კომპანია) ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩასატარებლად , რომელიც შედგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისაგან, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის ინდივიდუალური სრული შემოსავლის ანგარიშგების, ინდივიდუალური საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ინდივიდუალური ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისგან, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან. ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, გარდა პირობითი მოსაზრების საფუძველის აბზაცში ასახული საკითხის შესაძლო ეფექტისა, ყველა ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის ფინანსურ საქმიანობას და ფულის მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

პირობითი მოსაზრების გამოთქმის საფუძველს წარმოადგენს კომპანიის მიდგომა ფინანსური აქტივების (დებიტორული დავალიანება) გაუფასურებასთან დაკავშირებით. კომპანიის მიერ არ ხდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს სავაჭრო მოთხოვნების ანაზღაურებადი ღირებულების შეფასება, ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო ვერ განვსაზღვრავთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ამ მუხლში, აგრეთვე მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგების ელემენტებში. არსებული ფაქტის არსებითი ეფქტის გამო, ჩვენი მოსაზრება დებიტორული დავალიანების გაუფასურებასთან დაკავშირებით მოდიფიცირებულია. ჩვენ დავინიშნეთ შპს "ქართუ უნივერსალის" აუდიტორებად 2020 წლის 31 დეკემბრის შემდგომ პერიოდში, შესაბამისად ვერ შევძელით დავკვირებოდით წლის ბოლოს

ჩატარებულ სასაქონლო-მატერიალური მარაგებისა და ძირითადი საშუალებების ინვენტარიაზაციის პროცესს. აუდიტორებად დანიშვნის მომენტიდან ალტერნატიული პროცედურებით შეუძლებელი იყო დავრწმუნებულიყავით მატერიალური მარაგებისა და ძირითადი საშუალებების რაოდენობის სისწორეში. ჩვენ ვერ განვსაზღვრავთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღრიცხულ ან აღურიცხავ სასაქონლო მატერიალურ ფასეულობებთან დაკავშირებით, აგრეთვე მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის, კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგების ელემენტებში. არსებითი ეფექტის გამო, ჩვენი მოსაზრება სასაქონლო მატერიალურ ფასეულობებზე 2020 წლის 31 დეკემბრის არსებულ ნაშთებზე და 2020 წლის საწყის შესაბამის ნაშთებზე მოდიფიცირებულია.

ჩვენ განვახორციელეთ შემდეგი სახის აუდიტირება

კომპანიის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებები მოიცავს:

- ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.
- დასრულებული წლის ბოლოსათვის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ინდივიდუალური ანგარიშგება
- კაპიტალის ცვლილების ინდივიდუალური ანგარიშგება დასრულებული წლის ბოლოსათვის
- ფულადი ნაკადების ინდივიდუალური ანგარიშგება დასრულებული წლის ბოლოსათვის ;და
- ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები,რომელიც მოიცავს ძირითადი ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების შეჯამებას.

დამოუკიდებლობა

ჩვენ ვართ კომპანიისაგან დამოუკიდებლები, "ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს" მიერ დადგენილი „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსი"-ს შესაბამისად (IESBA კოდექსი). ჩვენ ავიღეთ შევასრულეთ ჩვენი სხვა ეთიკური პასუხისმგებლობები „ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭო"-ს მიერ დადგენილი „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსი"-ს შესაბამისად.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას. ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია შეაფასოს კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის უნარი, აუცილებლობის შემთხვევაში, ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობასთან და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად საქმიანობის უწყვეტობის პრინციპების გამოყენებაზე, იმ შემთხვევის გარდა , როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

სხვა ინფორმაცია

მენეჯმენტი პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციაზე.სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას (მაგრამ არ მოიცავს ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებას და ჩვენი აუდიტის დასკვნას მასზე) ჩვენი მოსაზრება ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შესახებ არ მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტირებასთან დაკავშირებით, ჩვენს პასუხისმგებლობაში შედის მმართველობის ანგარიშგების წაკითხვა და ამით განსაზღვრა, არის თუ არა მმართველობის ანგარიშგება არსებითად შეუსაბამო ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მიღებულ ცოდნასთან, არის თუ არა არსებითი უზუსტობები მასში. ამასთანავე, ,,ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ჩვენ მოგვეთხოვება ჩვენი მოსაზრების გამოთქმა იმის შესახებ, შეესაბამება თუ არა მმართველობის ანგარიშგების ცალკეული ნაწილები შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და განვიხილოთ, შეიცავს თუ არა მენეჯმენტის ანგარიში ისეთ ინფორმაციას, რაც მოითხოვება ,,ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით. თუ ჩვენს მიერ შესრულებული სამუშაოს საფუძველზე დავასკვნით, რომ მმართველობის ანგარიშგებაში არსებობს მატერიალური, არსებითი უზუსტობა, ჩვენი მხრიდან მოგვეთხოვება დავაფიქსიროთ აღნიშნულის შესახებ. თუმცა, ამ მხრივ ჩვენს დასკვნაში არაფერი გვაქვს წარმოსადგენი.

ჩვენი აუდიტის მიერ შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, ჩვენი მოსაზრება შემდეგია ყველა არსებითი ასპექტით:

- ინფორმაცია, რომელიც მოცემულია მმართველობის ანგარიშგებაში ფინანსური წლისათვის, რომლისთვისაც მომზადდა ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება, შეესაბამება ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებას; და
- მმართველობის ანგარიშგება შეიცავს ინფორმაციას, რომელიც მოითხოვება ,,ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ'' საქართველოს კანონით და შეესაბამება შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს.

- მენეჯმენტისა და იმ პირთა პასუხისმგებლობა, რომლებიც ჩართულნი არიან ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების მართვაში
- მენეჯმენტი პასუხისმგებელია ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა და ,,ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ'' საქართველოს კანონის შესაბამისად. ამასთანავე, პასუხისმგებელია შიდა კონტროლზე, რომელიც განსაზღვრულია მენეჯმენტის მოთხოვნების შესაბამისად, რათა შესაძლებელი გახდეს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადება, რომელშიც არ იქნება მატერიალური, არსებითი უზუსტობები, თაღლითობა ან შეცდომები.
- ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, მენეჯმენტი პასუხისმგებელია შეაფასოს ,,კომპანიის'' უნარი განაგრძოს ფუნქციონირებადობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. აუცილებლობის შემთხვევაში გაამჟღავნოს ის საკითხები,რომლებიც დაკავშირებულია ფუნქციონირებად საწარმოსთან და გამოიყენოს საწარმოს ფუნქიონირებადობა ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლად,მანამ,სანამ მენეჯმენტი არ დააპირებს ჯგუფის ლიკვიდაციას ან საქმიანობის შეწყვეტას,ან არ ექნება სხვა რეალური ალტერნატივა,გარდა ზემოთ აღნიშნულის განხორციელებისა.
- ის პირები, რომლებიც ჩართულნი არიან ,,კომპანიის' მმართველობაში, პასუხისმგებელნი არიან ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.
- აუდიტორის პასუხისმგებლობა ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტირებისას

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმისა,რომ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება თავისუფალია მატერიალური, არსებითი უზუსტობებისგან, თაღლითობისა და შეცდომებისგან საერთო ჯამში და წარმოვადგინოთ აუდიტორული დასკვნა, რომელიც შეიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, თუმცა, არ არსებობს გარანტია იმისა, რომ აუდიტირება, რომელიც ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ყოველთვის აღმოაჩენს მატერიალურ, არსებით უზუსტობას ამ უკანასკნელის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობანი შეიძლება წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომების ნიადაგზე და მიიჩნევა მატერიალურ, არსებით უზუსტობად იმ შემთხვევაში, თუ ცალკეულად ან საერთო ჯამში, გონივრულობის ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი გავლენას მოახდენენ იმ პირების ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე, რომლებიც წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე იღებენ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებს.
როგორც აუდიტირების შემადგენელი ნაწილს, რომელიც ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, აუდიტირების განმავლობაში ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობასა და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს მთელი აუდიტის განმავლობაში. ამასთანავე, ვასრულებთ შემდეგს:

- ვახორციელებთ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შეცდომებისა და თაღლითობის რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ვადგენთ, რამდენად აქვს ადგილი თაღლითობას ან შეცდომას, ვახორციელებთ ისეთ აუდიტორულ პროცედურებს, რომლებიც რეაგირებენ ამ რისკებზე, მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების წარმოსადგენად. რისკი იმისა, რომ შეიძლება ვერ მოხდეს თაღლითობით გამოწვეული მატერიალურ,არსებით უზუსტობათა აღმოჩენა, უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ უზუსტობა შესაძლოა გამოწვეული იყოს შეცდომების დაშვების საფუძველზე, ვინაიდან, თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს შეთქმულებას, გაყალბებას, განზრახ დაუდევრობა-გამოტოვებას, ფაქტების დამახინჯებას, ან შიდა კონტროლის გაუქმებას.
- ჩვენ ვახორციელებთ აუდიტისთვის შესაბამის შიდა კონტროლს, იმისათვის, რომ შევიმუშავოთ აუდიტორული პროცედურები, რომლებიც შესაბამისობაში იქნება გარემოებებთან, მაგრამ ამას ვასრულებთ არა იმისთვის, რომ გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება ,,კომპანიის'' შიდა კონტროლის ეფექტურობასთან დაკავშირებით.
- ვახორციელებთ მენეჯმენტის მიერ გამჟღავნებული სააღრიცხვო პოლიტიკის შესაფერისობის და სააღრიცხვო შეფასებების და მასთან დაკავშირებული ინფორმაციის გონივრულობის შეფასებას.
- გამოგვაქვს დასკვნა მენეჯმენტის მიერ ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების შესაფერისობის შესახებ და აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე დაყრდნობით ვასკვნით, არსებობს თუ არა მატერიალური, არსებითი განუსაზღვრელობები იმ მოვლენებთან დაკავშირებით,რამაც შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი ეჭვის წარმოშობა ,,კომპანიის'' შესაძლებლობებზე, გააგრძელოს არსებობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ.თუ დავასკვნით,რომ არსებობს მატერიალური, არსებითი უზუსტობანი, ჩვენ მოგვეთხოვება ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში ყურადღების გამახვილება ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებისშესაბამის განმარტებით შენიშვნებზე, ხოლო, იმ შემთხვევაში, თუ ასეთი გამჟღავნება არაადეკვატურია, ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეფუძნება აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომელიც მოპოვებულია ჩვენი აუდიტორული

დასკვნის თარიღისათვის. თუმცა, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა, ან გარემოებამ, შესაძლოა გამოიწვიოს ის, რომ კომპანიამ შეწყვიტოს არსებობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ.

- ვახორციელებთ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მთლიანი პრეზენტაციის, სტრუქტურისა და შინაარსის შეფასებას, მათ შორის განმარტებითი შენიშვნების შეფასებას და ვადგენთ, თუ რამდენად სამართლიანადაა წარმოდგენილი ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი ოპერაციები და მოვლენები.

  ვაწარმოებთ კომუნიკაციას იმ პირებთან, რომლებიც ჩართულნი არიან მმართველობის საკითხებში, სხვა საკითხებთან ერთად, ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების,ასევე აუდიტის მიერ მოპოვებული მნიშვნელოვანი აღმოჩენების,მათ შორის შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, რომლებიც აღმოვაჩინეთ ჩვენი აუდიტის განმავლობაში.

შპს ,,აუდიტი - A" -ს სახელით (რეგისტრაციის № SARAS-F-911029)

ჯემალ ალანია (რეგისტრაციის № SARAS-A-336078)

29 სექტემბერი 2021 წელი

თბილისი, საქართველო

შპს ,,ქართუ ინივერსალის" ფინანსური მდგომარეობა 2020 წლის 31 დეკემბრისათვის

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2020	31/12/2019	31/12/2018
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	147007	6169307	147283
სხვა მხარეებზე ავანსებად გაცემული ფულადი სახსრები	1023877	0	0
მოკლევადიანი მარაგები	6259211	5241353	5821599
გრძელვადიანი მარაგები	0	0	0
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2101382	4628116	2969685
გადავადებული საგადასახადო აქტივები	0	0	0
სხვა საგადასახადო აქტივი	535950	0	0
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	0	2824145	2133780
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	3957500	3957500
სხვა არამატერიალური აქტივები	169359	0	0
ძირითადი საშუალებები	20337775	15308195	11386296
სულ აქტივები	30574561	38128616	26416143
ვალდებულებები			
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	0	0	0
საიჯარო ვალდებულება	0	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	727149	2610077	601331
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0	0	0
ანარიცხები	0	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	4272727	10795000	0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	9120280	6410006	6668451
გადასახდელი დივიდენდები	0	0	0
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	10854	0	0
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	0	0	0
შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოები	0	0	0
სულ ვალდებულებები	14131010	19815083	7269782
საკუთარი კაპიტალი			
კაპიტალი	222676	222676	222676
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	16220875	18090857	18923685
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	16443551	18313533	19146361
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	30574561	38128616	26416143

დირექტორი გიორგი ჭყონია

მთ: ბუღალტერი მამუკა ჩემია

შპს ,,ქართუ უნივერსალის" საქმიანობის შედეგები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		
საქმიანობის შედეგები	**31/12/2020**	**31/12/2019**
საქმიანობის შედეგები		
ამონაგები	44088850	43767661
გაყიდვების თვითღირებულება	-20013740	-21334349
გამოყენებული ნედლეული და მასალები	0	0
საერთო მოგება	24075110	22433312
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0	0
დაქირავებულ პირთა გასამრჯელოების ხარჯი	-8807956	-8169534
სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურების ხარჯი	0	0
აუდიტორის ანაზღაურების ხარჯი	-15000	0
საკონსულტაციო ხარჯი	0	-54073
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები	0	0
იჯარის ხარჯი	-537530	-3037606
ტრანსპორტირებისა და გადაცემის ხარჯი	-2775579	-664348
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-2372416	-1951259
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-5309897	-4845414
საოპერაციო მოგება	4256732	3711078
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	0	-795485
სხვა ფინანსური შემოსავალი	0	2174
საპროცენტო ხარჯი	-102784	0
სხვა ფინანსური ხარჯი	-2706146	-1185791
მოგება / (ზარალი) სესხის ვადამდელი დაფარვიდან	0	0
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	10742	-302594
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	1458544	1429382
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0
მოგება / (ზარალი) განგრძობითი ოპერაციებიდან	1458544	1429382
მოგება / (ზარალი) შეწყვეტილი ოპერაციებიდან	0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	1458544	1429382

შემდგომში არ შეიძლება რომ რეკლასიფიცირებული იყოს მოგებაში ან ზარალში (დაბეგვრის შედეგების გამოკლებით / გათვალისწინებით):

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	1458544	1429382

დირექტორი გიორგი ჭყონია

მთ: ბუღალტერი მამუკა ჩემია

შპს ,,ქართუ უნივერსალის" ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2020	31/12/2019
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	84017880	2117953
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-88174365	-6873159
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-1865815	10777230
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	-6022300	6022024
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	0	0
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	6169307	147283
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	147007	6169307

დირექტორი გიორგი ჭყონია

მთ: ბუღალტერი მამუკა ჩემია

შპს ქართუ-უნივერსალის

კაპიტალის მოძრაობის ინდივიდუალური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	მფლობელთა კაპიტალი	დაგროვილი მოგება/ ზარალი	სულ
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**222676**	**18923685**	**19146361**
შენატანები კაპიტალში	0	0	0
პერიოდის შემოსავალი	0	1429382	1429382
გადახდილი დივიდენდი	0	-2262210	-2262210
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**222676**	**18090857**	**18313533**
შენატანები კაპიტალში	0	0	0
პერიოდის შემოსავალი	0	1458544	1458544
გადახდილი დივიდენდი	0	-3328526	-3328526
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**222676**	**16220875**	**16443551**

დირექტორი გიორგი ჭყონია

მთ: ბუღალტერი მამუკა ჩემია

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს " ქართუ უნივერსალი " რეგისტრირებულია ვაკის რაიონის სასამართლოს 1996 წლის 25 ივლისის №5/4-1346 დადგენილებით და სამართლებრივად წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნებულია და ფუნქციონირებს საქართველოში კანონმდებლობის შესაბამისად. საგადასახადო ორგანოს მიერ მინიჭებული აქვს ს/კ 204885874; კომპანიის იურიდიული და ფაქტიური მისამართია ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი II ჩიხი №11.

კომპანიის დამფუძნებელი-პარტნიორებია შემდეგი ფიზიკური პირები:
1) 01008000849, გიორგი თოფაძე 20,5%
2) 01008010799, ვლადიმერ გაწერელია 4%
3) 01018000518, ზურაბ კოსტავა 3%
4) 01018003241, გიორგი ჭყონია 4%
5) 01008016933, პაატა ქვლივიძე 2%
6) 01024024666, ლევან კავლელიშვილი 2.4%
7) 01018003215, ვლადიმერ კუხიანიძე 2.4%
8) 01008008045, გიორგი გვასალია 2.4%
9) 01005011697, ირაკლი კანკია 2.4%
10) 01005003998, დავით კიღურაძე 2.4%
11) 01019010260, ქეთევან ბოლქვაძე 0.5%
12) 01024001118, გიორგი თედორაძე 2%
13) 01008009172, ნიკოლოზ სვანიძე 5%
14) 01008026530, ეკატერინე ძაგნიძე 1%
15) 31001008089, ნიკოლოზ სონღულაშვილი 1%
16) 01008004721, ირაკლი თოფაძე 20%
17) 01008005986, გიორგი თოფაძე 20%
18) 01005011547, ოთარი ჭილაძე 1%
19) 01008014210, გიორგი თოფაძე 1%
20) 01008002259, ფატი კაპანაძე 1%
21) 01011060181 მარიამ ჩხარტიშვილი 1%
კომპანიის დირექტორია გიორგი ჭყონია
კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ნაყინის წარმოება და მისი რეალიზაცია, კომპანია საქართველოს ბაზარზე ნაყინის რეალიზაციას ახდენს 1996 წლიდან, ზამთრის პერიოდში კომპანია ახდენს ნახევარფაბრიკატების (გაყინული პელმენი, ხინკალი და სხვა ხორცპროდუქტები) დისტრიბუციას.

2. კომპანიის საოპერაციო გარემო

კომპანიის ძირითადი ბიზნეს აქტივობები ხორციელდება საქართველოს ფარგლებში. საქართველოსთვის დამახასიათებელია განვითარებადი ბაზრის გარკვეული მახასიათებლები, მათ შორის ინფლაციის შედარებით მაღალი დონე და მაღალი საპროცენტო განაკვეთები. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ექვემდებარება სხვადასხვა ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება საგადასახადო, სამართლებრივ, მარეგულირებელ და

პოლიტიკურ მოვლენებთან ერთად დიდწილად დამოკიდებულია მთავრობის მიერ გატარებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული ზომების ეფექტურობაზე. მენეჯმენტს არ ძალუძს წინასწარ განჭვრიტოს ყველა ის მოვლენა, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს საქართველოს ეკონომიკაზე და შესაბამისად, ვერ განსაზღვრავს თუ რა გავლენა ექნება კომპანიის მომავალ ფინანსურ მდგომარეობაზე. მენეჯმენტი თვლის, რომ იგი იღებს ყველა საჭირო ზომას კომპანიის ბიზნესის მდგრადობისა და განვითარების ხელშესაწყობად.

3. ძირითადი ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების შეჯამება

მომზადების საფუძვლები. წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა (“IFRS”) და "ბუღალტრული აღრიცხვის,ანგარიშგებისა და აუდიტისშესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, პირვანდელი ღირებულების კონვენციის შესაბამისად. მოცემული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისას გამოყენებული საღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, მოცემულია ქვემოთ. ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (“ფასს”) შესაბამისად, მოითხოვს გარკვეული კრიტიკული ბუღალტრული აღრიცხვის შეფასების გამოყენებას. ამასთანავე კომპანიის საღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში მენეჯმენტისგან მოითხოვს საკუთარი მსჯელობის გამოყენებას. სფეროები, რომლებიც შეიცავენ შედარებით მაღალი დონის მსჯელობასა და კომპლექსურობას, ან სფეროები სადაც ვარაუდები და შეფასება მნიშვნელოვანია ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებისთვის, მოცემულია შენიშვნა 4-ში.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება- ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში, მეკავშირე საწარმოებში, სტრუქტურიზებული საწარმოები და ერთობლივი საწარმოები. კომპანია აღრიცხავს ინვესტიციებს ინვესტიციის თავდაპირველი თვითღირებულებით, მანამ სანამ ინვესტიცია არ გაუქმდება ან გაუფასურდება მისი ცალკეული ფინანსური ანგარიშგებისთვის. ინვესტიციების საბალანსო ღირებულება განიხილება ყოველი საანგარიშგებიო პერიოდისათვის, რათა განისაზღვროს არსებობს თუ არა გაუფასურების რაიმე ინდიკატორი. თუ არსებობს რაიმე ასეთი ინდიკატორი, ფასდება აქტივების ანაზღაურებადი ღირებულება. გამოყენებითი ღირებულება განისაზღვრება მოსალოდნელი დივიდენდების მიმდინარე ღირებულებით. გაუფასურების ზარალი აღიარდება,როდესაც ინვესტიციის საბალანსო თანხა აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას. გაუფასურების ზარალი აღიარებულია მოგება-ზარალში

უცხოური ვალუტის კონვერტაცია. თითოეული კოპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა,რომელშიც კომპანია ეწევა საქმიანობას. კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა, ქართული ლარი ("ლარი").

ოპერაციები და ნაშთები. ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირდება თითოეული სუბიექტის ფუნცქიურ ვალუტაში საანგარიშო პერიოდის ბოლოს საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში გაცვლითი კურსით გამოწვეული შემოსულობა ან ზარალი, რომელიც გამომდინარეობს გარიგებებიდან და ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციით ფუნქციურ ვალუტაში წლის ბოლოს, საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად, აღიარდება მოგება-ზარალში ან სხვა სრულ შემოსავალში. უცხოური ვალუტის გაცვლით მიღებული შემოსულობა ან ზარალი, რომელიც

უკავშირდება სესხებს, წარმოდგენილია მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში „ფინანსური ხარჯების“ მუხლში. სხვა დანარჩენი უცხოური ვალუტის შემოსულობა და ზარალი წარმოდგენილია მოგების და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, მუხლში - შემოსულობა ან ზარალი საკურსო სხვაობიდან. წლის ბოლოს არსებული კურსით კონვერტაცია არ ვრცელდება არაფულად მუხლებზე, რომლებიც შეფასებულია ისტორიული ღირებულებით. არაფულადი მუხლები
კაპიტალში ინვესტიციების ჩათვლით, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით უცხოურ ვალუტაში, კონვერტირდება იმ დღეს არსებული გაცვლითი კურსით, როდესაც მოხდა რეალური ღირებულების განსაზღვრა. გაცვლითი კურსის ცვლილებების გავლენა არაფულად მუხლებზე, შეფასებული რეალური ღირებულებით უცხოურ ვალუტაში, აღირიცხება რეალური ღირებულების შემოსულობის ან ზარალის ნაწილად.

წარსადგენი ვალუტა. აღნიშნულ ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებში ყველა თანხა წარმოდგენილია ათასობით ქართულ ლარში ("ლარი"), თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები მითითებულია აკუმულირებული ცვეთისა და გაუფასურების ზარალის თანხით შემცირებული ღირებულებით. ისტორიული ღირებულება მოიცავს დანახარჯებს, რაც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის ადგილზე მიტანასთან და მის ისეთ მდგომარეობაში მოყვანასთან, რომელიც აუცილებელია მენეჯმენტის მიერ დადგენილ რეჟიმში ფუნქციონირებისთვის.
შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარებულია ცალკეულ აქტივად მხოლოდ მაშინ, როდესაც სავარაუდოა რომ ნივთთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი მიეწოდება კომპანიას და შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედო შეფასება. სარემონტო და ყოველდღიური მოვლა-შენახვისთვის საჭირო ხარჯების გაწევა ხდება საჭიროების შემთხვევაში. ძირითადი საშუალებების ძირითადი ნაწილების ან კომპონენტების შეცვლის ღირებულება კაპიტალიზებულია, ხოლო შეცვლილი ნაწილი ბრუნვიდან ამოღებულია. ყოველი საანგარიშო წლის ბოლოს მენეჯმენტი აფასებს, აქვს თუ არა ადგილი ძირითადი საშუალებების გაუფასურების ინდიკატორის არსებობას. თუ გაუფასურების ინდიკატორი არსებობს, მენეჯმენტი აფასებს ანაზღაურებად ღირებულებას, რომელიც არის უდიდესი გაყიდვის ღირებულებით შემცირებლ რეალურ ღირებულებასა და აქტივის გამოყენების ღირებულებას შორის. საბალანსო ღირებულება მცირდება ანაზღაურებად ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება წლის მოგება-ზარალში. აქტივისთვის წინა წლებში აღიარებული გაუფასურების ზარალი აღდგება საჭიროების შემთხვევაში, თუ ადგილი ჰქონდა ცვლილებებს შეფასებებში, რომელიც გამოყენებული იყო აქტივის გამოყენების ღირებულების ან მისი გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულების განსასაზღვრად.
აქტივის გასვლასთან დაკავშირებული შემოსავალი განსაზღვრულია შემოსავლების ღირებულების შედარების გზით საბალანსო ღირებულებასთან და აღიარებულია წლის მოგება-ზარალში.

ამორტიზაცია: მიწა და დაუმთავრებელი მშენებლობა არ არის ცვეთადი. ამორტიზაცია სხვა აქტივებზე განისაზღვრება ,როგორც ნარჩენი ღირებულებით შემცირებული ღირებულების განაწილება მათ სასარგებლო მომსახურების ვადაზე,წრფივი მეთოდის გამოყენებით .

შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადები მერყეობს შემდეგნაირად:

შენობა-ნაგებობები	5-20წწ.
მანქანა დანადგარები და აღჭურვილობა	2- 20წწ.
სხვა	2 -10წწ.

აქტივების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო ექსპლუატაციის ვადები და ამორტიზაციის მეთოდები გადახედილია და დაკორექტირებული პერსპექტიულად საჭიროების შემთხვევაში, თუ ბოლო საანგარიშო თარიღის შემდგომ არსებობს მნიშვნელოვანი ცვლილებები .
აქტივის საბალანსო ღირებულება დაუყოვნებლივ ჩამოწერილია მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება უფრო მაღალია ვიდრე მისი შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება.
აქტივების გასვლასთან დაკავშირებული შემოსულობა და ზარალი განისაზღვრება შემოსულობის შედარებით საბალანსო თანხასთან და აღიარებულია მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში როგორც ძირითადი საშუალების გაყიდვიდან შემოსულობა/ზარალი.

არამატერიალური აქტივები. კომპანიის არამატერიალურ აქტივებს აქვთ შეზღუდული სასარგებლო ექსპლუატაციის პერიოდი და მოიცავს პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიებს, ასევე დაპატენტებულია ნაყინის სახეობები.
შეძენილი პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიები და საქონლის პატენტები კაპიტალიზდება ხარჯების საფუძველზე. არამატერიალური აქტივები ამორტიზდება წრფივი მეთოდის გამოყენებით მათ სასარგებლო გამოყენების ვადის განმავლობაში. გაუფასურების შემთხვევაში, არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულება ჩამოწერილია გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და მის გამოყენების ღირებულებას შორის უმაღლესამდე.
არაფინანსური აქტივების გაუფასურება . აქტივები რომლებიც ექვემდებარება ცვეთას და ამორტიზირებას, გადაიხედება გაუფასურებაზე , როდესაც მოვლენათა და ცვლილებათა გარემოება მიუთითებს იმაზე, რომ საბალანსო ღირებულება შეიძლება არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალის თანხა განისაზღვრება თანხით, რითაც აქტივების საბალანსო ღირებულება აღემატება მისი ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი ღირებულება არის უმაღლესი გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და მის გამოყენების ღირებულებას შორის. გაუფასურების შეფასების მიზნებისთვის, აქტივები დაჯგუფებულია ყველაზე დაბალ დონეებად, რისთვისაც არსებობს დამოუკიდებელი ფულადი ნაკადები (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულები). არაფინანსური აქტივების წინა გაუფასურებები გადაიხედება შესაძლო აღდგენაზე ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის.

ფინანსური ინსტრუმენტები-ძირითადი შეფასების ვადები. რეალური ღირებულება არის ფასი, რომელიც მიღებული ან გადახდილი იქნება აქტივის გაყიდვიდან ან ვალდებულების გადაცემისას, ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღისთვის

ნებაყოფლობით განხორციელებული ოპერაციის დროს. რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებას წარმოადგენს აქტიურ ბაზარზე არსებული ფასი. აქტიური ბაზარი არის ბაზარი, რომელშიც აქტივების ან ვალდებულებების შესახებ გარიგებები ხორციელდება ისეთი სიხშირით და მოცულობით, რომ შესაძლებელია ფასების შესახებ ინფორმაციის მოწოდების უზრუნველყოფა.
აქტიურ ბაზარზე ვაჭრობით მიღებული ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება ფასდება როგორც ინდივიდუალური აქტივისთვის ან ვალდებულებისთვის კოტირებული ფასის პროდუქტი და ორგანიზაციის საკუთრებაში არსებული ინსტრუმენტების რაოდენობა. ეს ხდება იმ შემთხვევაშიც, თუ ბაზრის ნორმალური ყოველდღიური ვაჭრობის მოცულობა არ არის საკმარისი იმისთვის, რომ აითვისოს რაოდენობა და ცალკეულ გარიგებაში პოზიციის გაყიდვის შეკვეთების განთავსებამ შეიძლება გავლენა იქონიოს კოტირებულ ფასზე. შეფასების ისეთი ტექნიკა, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადის მოდელები, ან მოდელები, რომლებიც დაფუძნებულია ,,გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით'' შესრულებულ ოპერაციებზე ან ინვესტორთა მიერ ფინანსური მონაცემების მხედველობაში მიღება გამოიყენება გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შესაფასებლად, რომლისთვისაც არ არის ხელმისაწვდომი გარე ბაზრის ფასების შესახებ ინფორმაცია. რეალურიღირებულების შეფასების ანალიზი ხდება დონეების მიხედვით, რეალური ღირებულების იერარქიის შესაბამისად: (i) პირველ დონეს წარმოადგენს შეფასებები კოტირებული ფასებით (დაუკორექტირებელი), რომელიც არსებობს აქტიურ ბაზრებზე იდენტური აქტივებისთვის ან ვალდებულებებისთვის, (ii) მეორე დონის შეფასებები, არის შეფასების ტექნიკა ყველა მატერიალური ემპირიული, დაკვირვებადი ამოსავალი მონაცემებით, რომელიც არსებობს აქტივის ან ვალდებულებისთვის, ან პირდაპირ (არსებული ფასებით) ან არაპირდაპირ (ფასებიდან გამომდინარე) და (iii) მესამე დონე, არის შეფასებები, რომლებიც არ ეფუძნება მხოლოდ დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (ეს არის შეფასება, რომელიც მოთხოვს მნიშვნელოვან არადაკვირვებად ამოსავალ მონაცემებს). რეალური ღირებულების იერარქიას შორის გადაადგილებები ითვლება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს წარმოქმნილად. გარიგების დანახარჯები არის დამატებითი დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გამოცემას ან გასვლას. დამატებითი დანახარჯები არ წარმოიშობოდა, თუ ადგილი არ ექნებოდა გარიგებას. გარიგების დანახარჯები მოიცავს აგენტებისთვის (მათ შორის, თანამშრომლებისთვის, რომლებიც ასრულებენ გაყიდვების აგენტების მოვალეობას), მრჩევლებისთვის, ბროკერებისთვის და დილერებისთვის გადახდილ გადასახადებს და საკომისიოებს, მარეგულირებელი ორგანოების მიერ დაწესებულ და ფასიანი ქაღალდების გაცვლის მოსაკრებლებს და გადასახადებისა და მოსაკრებელის გადაცემას. გარიგების დანახარჯები არ მოიცავს სესხის პრემიას ან ფასდაკლებას, დაფინანსების დანახარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან შენახვის ხარჯებს.

ამორტიზებული ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი აღიარდა თავდაპირველი აღიარებით ძირითადი დაფარვის გამოკლებით, რომელსაც ემატება დარიცხული პროცენტი, ხოლო ფინანსური აქტივებისთვის- ნებისმიერი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხის გამოკლებით. დარიცხული პროცენტი მოიცავს გარიგების ღირებულების ამორტიზაციას, რომელიც გადავადებულია თავდაპირველი აღიარებისას და დასაფარი თანხის ნებისმიერ პრემიას ან ფასდაკლებას ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. დარიცხული პროცენტით მიღებული შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯი, მათ შორის დარიცხული კუპონი, ამორტიზებული დისკონტირება ან პრემია (წარმოშობისას გადავადებული საფასურის

ჩათვლით, ასეთის არსებობის შემთხვევაში), არ არის ცალკე წარმოდგენილი და შესულია შესაბამისი ერთეულების საბალანსო ღირებულებებში, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

ეფექტური საპროცენტო მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან ხარჯის მიკუთვნების მეთოდი შესაბამისი პერიოდის განმავლობაში, რათა საბალანსო ღირებულებაზე მოხდეს მუდვიმი საპროცენტო განაკვეთის მიღწევა (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი). ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლითაც მომავალში ფასდება მომავალი ფულადი გადახდები ან ფულადი შემოსავლები (მომავლი საკრედიტო ზარალის გამოკლებით) ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი სასიცოცხლო ვადის განმავლობაში ან უფრო მოკლე პერიოდის განმავლობაში, საჭიროების შემთხვევაში ფინანსური ინსტრუმენტის მთლიანი საბალასნო ღირებულება. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ადისკონტირებს ფულად ნაკადებს ან ცვლად საპროცენტო ინსტრუმენტებს შემდეგი საპროცენტო ფასწარმოქმნის თარიღამდე. გარდა პრემიის ან ფასდაკლებისა, რომელიც აისახება ინსტრუმენტში გადანაწილებული კრედიტის მცოცავი კურსის განაკვეთზე, ან სხვა ცვლადებზე, რომლებიც არ არის დარეგულირებული საბაზრო განაკვეთებზე. ასეთი პრემიები ან ფასდაკლებები ამორტიზირებულია ისნტრუმენტის მთელი მოსალოდნელი სასიცოცხლო პერიოდის განმავლობაში. დღევანდელი ღირებულების კალკულაცია მოიცავს ყველა გადახდილ ან მიღებულ გადასახადებს, სახელშეკრულებო მხარეებს შორის, რაც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს. აქტივებისთვის, რომლებიც შეძენილია ან წარმოშობილია კრედიტის გაუფასურებით თავდაპირველი აღიარებისას, ეფექტური საპროცენტო განაკვეთი საკრედიტო რისკისთვის დაკორექტირებულია ე.ი. გამოთვლილია სახელშეკრულებო გადახდების ნაცვლად თავდაპირველი აღიარებისას მოსალოდნელი ფულადი ნაკადების საფუძველზე.

ფინანსური ინსტრუმენტები-თავდაპირველი აღიარება. ფინანსური ინსტრუმენტები რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL), თავდაპირევლად აღირიცხება რეალური ღირებულებით. ყველა სხვა ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებით, რომელიც დაკორექტირებულია გარიგების დანახარჯებისთვის. რეალური ღირებულებისთვის თავდაპირველი აღიარებისას საუკეთესო მტკიცებულებაა გარიგების ფასი. თავდაპირველი აღიარებაზე შემოსულობა ან ზარალი აღირიცხება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს განსხვავება რეალურ ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის, რომლის დამტკიცება შესაძლებელია იმავე ინსტრუმენტის სხვა მიმდინარე საბაზრო გარიგებებზე დაკვირვებით, ან შეფასების ტექნიკით, რომლის ამოსავალი მონაცემები შეიცავს მხოლოდ არსებულ დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს. თავდაპირველი აღიარების შემდეგ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი (ECL) აღიარებულია იმ ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით (AC), ხოლო ინვესტიციები სავალო ინსტრუმენტებში ფასდება რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI), რის შედეგადაც დაუყოვნებლივ აღირიცხება ზარალი . ყველა ფინანსური აქტივის შეძენა და გაყიდვა, რომლებიც მოითხოვენ მიწოდებას იმ დროში, რაც დადგენილია საბაზრო კონვეცნიის რეგულაციცით (შესყიდვების და გაყიდვების „რეგულარული გზა“) რეგისტრირდება იმ თარიღით, რა თარიღითაც კომპანიას აქვს ფინანსური აქტივების მიწოდების ვალდებულება. ყველა დანარჩენი

შენაძენი აღიარდება, მაშინ როდესაც ორგანიზაცია ხდება ინსტრუმენტის ხელშეკრულების მხარე. კომპანია იყენებს დისკონტირებული ფულადი ნაკადების შეფასების ტექნიკას, რათა განსაზღვროს დაკავშირებულ მხარეებთან სესხების რეალური ღირებულება, რომლებიც არ ვაჭრობენ აქტიურ ბაზარზე. რეალურ ღირებულებასა და თავდაპირველ აღიარებას შორის შეიძლება წარმოიშვას განსხვავებები,რომელიც განიხილება გარიგების ფასით,და თანხის ოდენობა, რომელიც განსაზღვრულია თავდაპირველი აღიარებისას, იყენებს შეფასების ტექნიკას 3 დონიანი ამოსავალი მონაცემებით . თუ რაიმე განსხვავება დარჩება ამოსავალი მონაცემების მოდელის კალიბრაციის შემდეგ , ეს განსხავებები ამორტიზდება წრფივი მეთოდით დაკავშირებულ მხარეებთან სესხების ვადის განმავლობაში. განსხვავებები დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება-ზარალში, თუ შეფასება იყენებს მხოლოდ 1 ან 2 დონის ამოსავალ მონაცემებს.

ფინანსური აქტივები-კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება - ბიზნეს მოდელი.

ბიზნეს მოდელი ასახავს ,როგორ მართავს კომპანია აქტივებს მართვის, ფულადი ნაკადის წარმოქმნის მიზნით-თუ კომპანიის მიზანია: (i) მხოლოდ შეაგროვოს აქტივებიდან სახელშეკრულებო ფულადი სახსრები („შეაგროვოს სახელშეკრულებო ფულადი სახსრები“ ,) ან (ii) შეაგროვოს როგორც სახელშეკრულებო ფულადი სახსრები, ისე ფულადი ნაკადები, რომლებიც წარმოიშობა აქტივების გაყიდვით („შეაგროვოს სახელშეკრულებო ფულადი სახსრები და გაყიდოს“) ან თუ არ გამოიყენება არც (i) და არც (ii), ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება „სხვა“ ბიზნეს მოდელის ნაწილად და ფასდება ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL). ბიზნეს მოდელი განისაზღვრება აქტივების ჯგუფების მიხედვით (პორტფოლიოს დონეზე), რომელიც ეფუძნება შესაბამის მტკიცებულებას იმ აქტივობათა შესახებ, რომლის განხორციელებაზე კომპანია იღებს ვალდებულებას, რათა მიაღწიოს შეფასების თარიღისთვის ხელმისაწვდომი პორტფოლიოთი განსაზღვრულ მიზანს. ფაქტორები, რომლებიც განხილულია კომპანიის მიერ ბიზნეს მოდელის განსაზღვრისას შეიცავს მიზანს და გულისხმობს პორტფოლიოს შექმნას, წარსულ გამოცდილებას იმის თაობაზე, თუ როგორ ხდება შესაბამისი აქტივების ფულადი სახსრების შეგროვება, თუ როგორ არის რისკები შეფასებული და მართული, თუ როგორ არის შეფასებული აქტივების საქმიანობის შედეგები და როგორ ხდება მენეჯერთა ანაზღაურება. იხილეთ შენიშვნა 4-ი იმ კრიტიკული მსჯელობისათვის, რომელიც გამოყენებულია კომპანიის მიერ თავისი ფინანსური აქტივების ბიზნეს მოდელების განსასაზღვარავად.

ფინანსური აქტივები-კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება-ფულადი ნაკადების მახასიათებლები. იმ შემთხვევაში, როდესაც ბიზნეს მოდელი ფლობს აქტივებს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შესაგროვებლად, ან ფლობს სახელშეკრულებო ფულად ნაკადების მოსაგროვებლად და ყიდის მათ, კომპანია აფასებს თუ რამდენად არის ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირის და პროცენტის გადახდები (“SPPI”). ფინანსური აქტივები ჩართული წარმოებულებით მთლიანობაში განიხილება, როდესაც განისაზღვრება შეესაბამება თუ არა მათი ფულადი სახსრები ძირითადი გადახდების და პროცენტის მახასიათებელს. ამ

შეფასების განხორციელებისას, კომპანია განსაზღვარვს, შესაფერისია თუ არა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები ძირითად სასესხო შეთანხმებასთან, ანუ პროცენტი მოიცავს მხოლოდ საკრედიტო რისკისათის საზღაურს, ფულის დროით ღირებულებას, სხვა ძირითად საკრედიტო რისკს და მოგების მარჟას. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობები წარმოადგენს რისკის ან არასტაბილურობის გამოვლენას, რომელიც არ შეესაბამება სესხის შესახებ ძირითად შეთანხმებას, ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება და ფასდება ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL). ძირის გადახდების და პროცენტის (“SPPI”) შეფასება ხორციელდება აქტივის თავდაპირველი აღიარებით და შემდგომში არ ხდება მისი გადაფასება. იხ. შენიშვნა 4-ი იმ კრიტიკული შეფასებისთვის, რომელიც გამოყენებულია კომპანიის მიერ თავისი ფინანსური აქტივების ძირის გადახდების და პროცენტის (“SPPI”) დასატესტად.

ფინანსური აქტივები-რეკლასიფიკაცია. ფინანსური აქტივები რეკლასიფიცირდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ბიზნეს მოდელი პორტფელის მართვისთვის იცვლება მთლიანობაში. რეკლასიფიკაციას აქვს პერსპექტიული ეფექტი და იკავებს ადგილს პირველი საანგარიშგებო პერიოდიდან,რომელიც მოდის ბუზნეს მოდელში ცვლილებების შემდეგ . საწარმო არ ცვლის თავის ბიზნეს მოდელს მიმდინარე და შესადარისი პერიოდის განმავლობაში და არ ახორციელებს რეკლასიფიკაციას.

ფინანსური აქტივების გაუფასურება-საკრედიტო ზარალის გათვალისწინება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისათვის (*ECL).* კომპანია ფლობს ფინანსური აქტივების სამ სახეობას, რომელიც ექვემდებარება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელს, ესენია-სავაჭრო მოთხოვნები, გაცემული სესხები, ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები. კომპანია იყენებს ფასს 9-ის გამარტივებული მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად, რომელიც ყველა სავაჭრო მოთხოვნისათვის იყენებს სასიცოცხლო ვადის განმავლობაში მოსალოდნელ ზარალის ანარიცხს. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად სავაჭრო მოთხოვნები დაჯგუფებულია საკრედიტო რისკის მახასიათებლების და ვადაგადაცილებული დღეების შესაბამისად. გაცემული სესხების გაუფასურებისთვის კომპანია იყენებს სამსაფეხურიან მოდელს, რომელიც ეფუძნება თავდაპირველი აღიარების შემდეგ საკრედიტო ხარისხში ცვლილებებს. ფინანსური ინსტრუმენტი რომელიც არ არის გაუფასურებული თავდაპირველი აღიარებით, კლასიფიცირდება პირველ საფეხურად. ფინანსურ აქტივებს I საფეხურში შეფასებული აქვთ თავიანთი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი იმ თანხაში, რომელიც უტოლდება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის წილს სასიცოცხლო ვადის განმავლობაში, რომელიც გამომდინარეობს გადაუხდელობით შემდგომი 12 თვის განმავლობაში, ან ხელშეკრულების ვადის გასვლამდე, (12 თვე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი). თუ კომპანია ახდენს მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკის იდენტიფიცირებას (“SICR”) თავდაპირველი აღიარების შემდეგ, აქტივი გადადის მეორე საფეხურზე და მისი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დგინდება მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე დაყრდნობით სასიცოცხლო ვადის განმავლობაში, სახელშეკრულებო ვადის გასვლამდე, მაგრამ მოსალოდნელი წინასწარი გადახდების გათვალისწინებით

(საექსპლუატაციო პერიოდის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი). თუ კომპანია დაადგენს, რომ ფინანსური აქტივი საკრედიტო რისკით გაუფასურებულია, აქტივი გადადის მე-3 საფეხურზე და მისი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი იზომება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის სასიცოცხლო ვადით. ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც შეძენილია ან საკრედიტო რისკით გაუფასურებულია მოსალოდნელი საკრედიტო დანახარჯები ყოველთვის იზომება სასიცოცხლო ვადის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაბამისად. შენიშვნა 30-ი უზრუნველყოფს ინფორმაციას ამოსავალი მონაცემების , ვარაუდის და შეფასების ტექნიკის შესახებ, რაც გამოიყენება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად, მათ შორის მოცემულია განმარტება იმის შესახებ, თუ როგორ აერთიანებს კომპანია მომავალ ინფორმაციას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (*ECL)* მოდელებში.

ფინანსური აქტივები-ჩამოწერა. ფინანსური აქტივები ჩამოწერილია მთლიანად ან ნაწილობრივ, როდესაც კომპანია ამოწურავს აღდგენის პრაქტიკულად ყველა მცდელობას და დაასკვნის, რომ არ არსებობს აღდგენის გონივრული მოლოდინი. ჩამოწერა ნიშნავს აღიარების შეწყვეტას. კომპანიამ შეიძლება ჩამოწეროს ფინანსური აქტივები, რომლებიც ჯერ კიდევ ექვემდებარება სააღმსრულებლო მოქმედებას, როდესაც კომპნია ცდილობს ანაზღაურდეს თანხა,რომელიც ვადაგადაცილებულია, თუმცა არ არსებობს ამის გონივრული მოლოდინი.

ფინანსური აქტივები– აღიარების შეწყვეტა. კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივების აღიარებას მაშინ, როდესაც (ა) აქტივები გამოსყიდულია ან აქტივებიდან ფულადი სახსრების მიღებაზე უფლებები სხვაგვარად ამოიწურა, ან (ბ) კომპნიამ ფინანსური აქტივებიდან ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ უფლებები გადასცა, ან შევიდა საკვალიფიკაციო კლასიფიკაციაში, (i) ასევე გასადცა არსებითად აქტივების საკუთრების ყველა რისკი და სარგებელი ან (ii) არ გადასცა საკუთრების ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ არც შეინარჩუნა მათზე კონტროლი. კონტროლი შენარჩუნებულია, თუ კონტრაგენტს არ აქვს პრაქტიკული უნარი მთლიანად მიყიდონ აქტივი მესამე არადაკავშირებულ მხარეს, გაყიდვის დამატებითი შეზღუდვების დაწესების საჭიროების გარეშე.

ფინანსური აქტივები–მოდიფიკაცია. კომპანია ხანდახან გადახედავს ან სხვაგვარად ცვლის ფინანსური აქტივების სახელშეკრულებო პირობებს. კომპანია სხვა დანარჩენთან ფაქტორებთნ ერთად აფასებს იმას, თუ რამდენად მნიშვნელოვანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მოდიფიცირება შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით: ნებისმიერი ახალი სახელშეკრულება პირობა, რომელიც არსებით გავლენას ახდენს აქტივის რისკზე (მაგ.: მოგების წილი ან წესდებაზე დაფუძნებული დაბრუნება), საპროცენტო განაკვეთში მნიშვნელოვანი ცვლილება, ცვლილება ვალუტის დასახელებაში, ახალი უზრუნველყოფა ან კრედიტის საგარანტიო საშუალება, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს აქტივთან დაკავშირებულ საკრედიტო რისკზე ან სესხის მნიშვნელოვან გაფართოება, როდესაც მსესხებელს არ აქვს ფინანსური სირთულეები. თუ შეცვლილი პირობები

არსებითად განხსვავდება, თავდაპირველი აქტივებიდან ფულად სახსრებზე უფლებები ამოიწურება და კომპანია წყვეტს თავდაპირველ ფინანსური აქტივის აღიარებას და აღიარებს ახალ აქტივს რეალური ღირებულებით. აღიარების შეწყვეტის თარიღი ითვლება თავდაპირველი აღიარების თარიღად შემდგომი გაუფასურების გამოთვლის მიზნებისთვის, მათ შორის იმისათვის, რომ დაადგინოს თუ რამდენად მოხდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა. ასევე კომპანია აფასებს იმას, თუ რამდენად შეესაბამება ახალი სესხის ან სავალო ინსტრუმენტის მხოლოდ ძირის და პროცენტის გადახდის (SPPI) კრიტერიუმს. ნებისმიერი განსხვავება შეწყვეტილი თავდაპირველი აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ახალი,არსებითად შეცვლილი აქტივის რეალურ ღირებულებას შორის აღიარებულია მოგება-ზარალში, სანამ განსხვავების არსი არ მიეწერება მეპატრონეებთან კაპიტალურ გარიგებას. იმ შემთხვევაში, როდესაც აღიარების შეწყვეტა გამოწვეული იყო მეორე მხარის ფინანსური სირთულეებით და უუნარობით, რომ განეხორციელებინა თავდაპირველად შეთანხმებული გადახდები, კომპანია ადარებს აქტივების თავდაპირველ და განახლებულ მოსალოდნელ ფულად ნაკადებს, თუ რამდენად არის აქტივების რისკები და სარგებელი არსებითად განსხვავებული სახელშეკრულებო ცვლილებიდან გამომდინარე. თუ არ იცვლება რისკები და სარგებელი, მოდიფიცირებული აქტივი არ არის არსებითად განსხვავებული თავდაპირველი აქტივისგან და შეცვლა არ იწვევს აღიარების შეწყვეტას. კომპანია ხელახლა დაითვლის მთლიან საბალანსო ღირებულებას შეცვლილი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების დისკონტირების გზით თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით (ან საკრედიტო რისკით კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთი შესყიდული ან წარმოქმნილი ფინანსური აქტივებისათვის POCI-ს ფინანსური აქტივებისთვის) და აღიარებს მოდიფიცირებით გამოწვეულ მოგებას ან ზარალს.

ფინანსური ვალდებულებები-შეფასების კატეგორიები. ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება,როგორც შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული (AC), გარდა (i) ფინანსური ვალდებულებებისა, რომლებიც ასახულია რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით (FVTPL): აღნიშნული კლასიფიკაცია ვრცელდება ფინანსურ წრმოებულებზე, სავაჭრო ფინანსურ ვალდებულებებზე (მაგ.: მოკლე პოზიციები ფასიან ქაღალდებში), ბიზნესის გაერთიანებისას შემსყიდველის მიერ აღიარებულ პირობით საფასურზე და სხვა ფინანსურ ვალდებულებებზე, როგორც ეს განსაზღვრულია თავდაპირველ აღიარებაში და (ii) ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებისა და და სესხის ვალდებულებებისა.

ფინანსური ვალდებულებები– აღიარების შეწყვეტა. ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება, როდესაც ისინი დაიფარება (ე.ი. როდესაც ხელშეკრულებაში მითითებული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ანულირდება). არსებითად განსხვავებული პირობების მქონე სავალო ინსტრუმენტის გაცვლა არსებულ გამსესხებელსა და მსესხებელს შორის განხილულია,როგორც თავდაპირველი

ფინანსური ვალდებულების დაფარვა და ახალი ფინანსური ვალდებულების აღიარება. პირობები არსებითად განსხვავებულია იმ შემთხვევაში, თუ ფულადი სახსრების დისკონტირებული დღევანდელი ღირებულება ახალი პირობებით, მათ შორის, ნებისმიერი მიღებული და გადახდილი გადასახადი, რომელიც გადახდილია ნეტოში, თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, მინიმუმ 10%-ით განსხვავდება თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების დარჩენილი ფულადი ნაკადების დისკონტირებული დღევანდელი ღირებულებისგან. გარდა ამისა,თვისობრივი ფაქტორები,როგორიცაა ვალუტა,რომელშიც დენომინირებულია ინსტრუმენტი,ცვლილებები საპროცენტო განაკვეთის ტიპებში,კონვერსიის ახალი მახასიათებლები,რომლებიც მიბმულია ინსტრუმენტზე და ცვლილებები სესხების შეთანხმებებში,აგრეთვე განიხილება. თუ სავალო ინსტრუმენტის გაცვლა ან პირობების ცვლილება აღირიცხება ანულირებად, ნებისმიერი წამოჭრილი ხარჯები ან გადასახადები აღიარდება ანულირების დროს შემოსულობის ან ზარალის ნაწილად. თუ გაცვლა ან ცვლილება არ აღირიცხება ანულირებულად, ნებისმეირი წამოჭრილი ხარჯები და გადასახადები აკორექტირებს ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და ამორტიზდება შეცვლილი ვალდებულების დარჩენილი ვადის განმავლობაში. ვალდებულებების ცვლილებები,რომლებიც არ იწვევს ანულირებას,აღრიცხულია როგორც შეფასების ცვლილება კუმულაციური დაგროვების მეთოდის გამოყენებით,ნებისმიერი შემოსულობით ან ზარალით,რომელიც აღრიცხულია მოგებაში ან ზარალში,თუკი საბალანსო ღირებულებაში განსხვავების ეკონომიკური შინაარსი არ არის მფლობელებთან ეკონომიკური გრიგებები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები აღიარებულია თავდაპირველად რეალური ღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. სავაჭრო ვალდებულებები დარიცხულია მაშინ, როდესაც კონტრაქტორი მხარე ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს და აღიარებულია თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

მოგების გადასახადები. მოგების გადასახადები გათვალისწინებულია ამ ფინანსურ ანგარიშგებაში, საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის ამოქმედებული ან არსებითად ამოქმედებული კანონმდებლობის შესაბამისად. 2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის თანახმადაც, კომპანიებმა (ბანკების, საკრედიტო კავშირების, სადაზღვევო კომპანიების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების და ლომბარდების გარდა) არ უნდა გადაიხადონ საშემოსავლო გადასახადი იმ მოგებაზე, რომელიც მიღებული აქვთ 2017 წლის 1 იანვრიდან, მანამ სანამ მოგება არ გადანაწილდება ან არ ჩაითვლება დივიდენდის სახით განაწილებულად. 15%-იანი მოგების გადასახადი არის გადასახდელი გროსი ღირებულების მიხედვით (ე.ი. წმინდა დივიდენდები მიიღება 5%-ის საშემოსავლოს გადასახადის დაკავებით, თუ ეს გამოიყენება და გაიყოფა 0.85-ზე) დივიდენდის გადახდისას ფიზიკური პირის ან არარეზიდენტი იურიდიული

პირებისათვის. დივიდენდები, რომლებიც გადახდილია რეზიდენტ იურიდიულ პირებზე 2017 წლის 1 იანვრიდან მიღებული მოგებიდან, განთავისუფლებულია გადასახადისგან. 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდის განმავლობაში მიღებული მოგების დივიდენდები ექვემდებარება მოგების გადასახადის გადახდას, რომელიც მცირდება შესაბამისი საგადასახადო კრედიტით, დაანგარიშებულია როგორც დეკლარირებული და გადასახდელი მოგების წილი, რომელიც გადახდილია დასაბეგრი მოგებისთვის მთლიანი წმინდა მოგებისთვის იმავე პერიოდისთვის, და მრავლდება გასანაწილებელ დივიდენდზე. თუმცა საგადასახადო კრედიტის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ფაქტობრივი მოგების გადასახადს, რომელიც დაწესებულია დივიდენდის გადანაწილებისთვის. დივიდენდების განაწილების შედეგად წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც ხდება დივიდენდების გამოცხადება, მიუხედავად ფაქტობრივი გადახდის თარიღის ან პერიოდისა, რომელსთვისაც ხდება დივიდენდების გადახდა. დივიდენდების განაწილების გარდა, გადასახადი კვლავ გადასახდელია იმ ხარჯებზე ან სხვა გადასახდელებზე, რომლებიც არ უკავშირდება ეკონომიკურ საქმიანობას, აქტივების ან მომსახურებების უსასყიდლო მიწოდებას და წარმომადგენლობით ხარჯებს, რომლებიც აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილ მაქსიმალურ ოდენობას. შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყნებში დარეგისტრირებული სუბიექტებისთვის ავანსად გადახდილი ყველა თანხა, და სხვა კონკრეტული გარიგებები ასეთ პირებთან, აგრეთვე სესხები, რომლებიც გაცემულია ინდივიდუალურ პირებზე ან არარეზიდენტებზე, წარმოადგენს დაბეგვრის საგანს დაუყოვნებლივ. ამგვარი გადასახადები სხვა გადასახადებთან ერთად, ასევე წმინდა საგადასახადო კრედიტები, რომელიც მოითხოვება აქტივებზე ან მომსახურებებზე, რომელიც მიღებულია იმ ავანსების სანაცვლოდ, რაც გადახდილია პირებისთვის, რომლებიც დარეგისტრირებულნი არიან შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყნებში, ან სასხების გაცემა ფიზიკური პირებისთვის ან არარეზიდენტებისთვის აღირიცხება საოპერაციო ხარჯებში,მუხლში,გადასახადები,გარდა მოგების გადასახადისა.

მარაგები. მარაგები აღრიცხულია ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების ღირებულების დადგენა ხორციელდება საშუალო შეწონილი ღირებულების საფუძველზე. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება წარმოადგენს შეფასებულ გასაყიდ ფასს ბიზნესის ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით.

ავანსები. ავანსები ასახულია თვითღირებულებით, გაუფასურების ანარიცხის გამოკლებით. ავანსად გადახდა კლასიფიცირდება გრძელვადიანად, როცა წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის შემდეგ, ან თუ ავანსის გადახდა ეხება აქტივს, რომელიც კლასიფიცირდება გრძელვადიანად თავდაპირველი აღიარების საფუძველზე. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები გადადის აქტივის საბალანსო ღირებულებაში, როგორც კი კომპანია მოიპოვებს კონტროლს აქტივზე და შესაძლებელია, რომ აქტივთან ასოცირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი შევიდეს კომპანიაში. სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგებაში ან ზარალში, როდესაც მოხდება წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული საქონლის და მომსახურების მიღება. თუ არსებობს ინდიკატორი , რომ აქტივები, საქონელი ან მომსახურება, რომლებიც უკავშირდება წინასწარ გადახდებს, არ იქნება მიღებული, ავანსად გადახდილი თანხის საბალანსო ღირებულება დაუყოვნებლივ ჩამოწერილია და გაუფასურების ზარალი აღიარებულია წლის მოგება-ზარალში.

საწესდებო კაპიტალი. კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდების საფუძველზე. ცვლილებები კომპანიის წესდებაში (მათ შორის საწესდებო კაპიტალში, საკუთრებაში და სხვ.) შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ კომპანიის მფლობელთა გადაწყვეტილების საფუძველზე.

დივიდენდები. დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება და გამოიქვითება კაპიტალიდან იმ პერიოდში, როდესაც ისინი გამოცხადდება და დამტკიცდება. საანგარიშო პერიოდის შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე გამოცხადებული ნებისმიერი დივიდენდი, გამჟღავნებულია შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

ანარიცხები ვალდებულებების და გადასახადების შესახებ. ანარიცხები ვალდებულებების და გადასახადების შესახებ წარმოადგენს გაურკვეველი ვადის ან თანხის არაფინანსურ ვალდებულებებს. ისინი დარიცხულია მაშინ როდესაც კომპანიას აქვს იურიდიული და კონსტრუქციული ვალდებულება წარსულში მომხდარი მოვლენების შედეგად, და მოსალოდნელია,რომ ვალდებულების დასაფარად საჭირო იქნება საწარმოს ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა ან ვალდებულების თანხის საკმარისად საიმედოდ შეფასება შესაძლებელია. ანარიცხები შეფასებულია დანახარჯების ამჟამინდელი ღირებულებით, რომელიც მოითხოვება ვალდებულების შესასრულებლად, წინასწარი გადასახადის განაკვეთის გამოყენებით, რაც ასახავს ფულის დროითი ღირებულებისა და ვალდებულების რისკის მიმდინარე საბაზრო შეფასებას. დროის გასვლის გამო ანარიცხებში ზრდა აღიარებულია როგორც საპროცენტო ხარჯი . ისეთი მოსაკრებლები და ვალდებულები, როგორიცაა გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა ან სატარიფო საზღაურებისა, რომელიც დაფუძნებულია გადასახადის ვალდებულების წარმოქმნამდე პერიოდამდელ ინფორმაციასთან, აღიარებულია ვალდებულებად, როდესაც ადგილი აქვს მავალდებულებელ მოვლენას, რომელიც იწვევს გადასახადის გადახდას, დადგენილი კანონმდებლობის შესაბამისად. თუ მოსაკრებელი გადახდილია მავალდებულებელ მოვლენამდე , იგი აღიარებულია, ავანსად.

აქტივების ბრუნვიდან ამოღების ვალდებულებები. ლიცენზიის ტერიტორიის კულტივაციის შეფასებული დანახარჯები (აქტივების ბრუნვიდან ამოღების ვალდებულებები)არის დამატებული ერთეულის ღირებულებაზე ან ერთეულის შეძენისას,ან მაშინ,როცა ერთეულის გამოყენება ხდება კონკრეტული პერიოდის განმავლობაში, იმ მიზნებისათვის, რომელიც არ უკავშირდება ამ პერიოდში ინვენტარის წარმოებას. როდესაც ადგილი აქვს ცვლილებებს არსებული აქტივების ბრუნვიდან ამოღების ვალდებულების შეფასების ვადებში, ან შემოსავლისმოდინების მოცულობაში, რაც მოიცავს ეკონომიკურ სარგებელს, რომელიც მოითხოვება ვალდებულების გადასაჭრელად, ან ფასდაკლების განაკვეთში ცვლილების გამო, ხდება მასთან დაკავშირებული აქტივის ღირებულების კორექტირება.

შემოსავლის აღიარება. ამონაგები არის შემოსავალი, რომელიც წარმოიშობა კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობით. ამონაგები აღიარებულია გარიგების ფასის შესაბამისად. გარიგების ფასი არის საზღაურის თანხა , რომლის მიღებასაც კომპანია მოელის დაპირებული საქონლის ან მომსახურების კონტროლის მომხმარებლისთვის გადაცემის სანაცვლოდ, გარდა მესამე მხარის სახელით მოზიდული თანხებისა. შემოსავალი აღიარებულია წმინდა ,ფასდაკლებების, უკან დაბრუნებებისა და დამატებითი ღირებულების გადასახადის გარეშე.

4 ინფორმაცია შეფასების, გაურკვევლობისა და გადაწყვეტილების ძირითადი წყაროების შესახებ

კომპანია აკეთებს შეფასებებსა და ვარაუდებს, რომლებიც გავლენას ახდენს ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. შეფასებები და განსჯები მუდმივად ფასდება და ემყარება მენეჯმენტის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინებს, რომლებიც, გონივრულად მიიჩნევა გარკვეულ გარემოებებში. ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების გამოყენების პროცესში შეფასებების გარდა, მენეჯმენტი იღებს აგრეთვე გარკვეულ გადაწყვეტილებებს. გადაწყვეტილებებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ამ ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებში აღიარებულ თანხებსა და შეფასებებზე, რამაც შეიძლება გამოიწვიოს მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვნად კორექტირება,არის შემდეგი:

ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების სასარგებლო გამოყენების ვადები და ნარჩენი ღირებულებები. ძირითადი საშუალებების ერთეულების სასარგებლო გამოყენების ვადების და ნარჩენი ღირებულებების შეფასება წარმოადგენს განხლივის საკითხს, რაც ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივებში შემავალი მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარება ხდება ძირითადად გამოყენების მეშვეობით. თუმცა ისეთი ფაქტორები, როგორიცაა ტექნიკური ან კომერციული და ფიზიკური ცვეთა და ტექნიკური მოძველება ხშირად იწვევს აქტივებში შემავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. მენეჯმენტი აფასებს დარჩენილ სასარგებლო მომსახურების ვადას და ნარჩენ ღირებულებას აქტივების მიმდინარე ტექნიკური მდგომარეობისა და შეფასებული პერიოდის შესაბამისად, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია რომ აქტივი მოუტანს ეკონომიკურ სარგებელს კომპანიას . გათვალისწინებულია შემდეგი ძირეული ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა და ტექნიკური მოძველება, რაც დამოკიდებულია სამუშაო ფაქტორებსა და ტექნიკურ (მოვლის) პროგრამაზე; და (გ) ტექნიკური ან კომერციული დაძველება, რაც წარმოიშობა საბაზრო პირობების ცვლილებებით.

დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციების თავდაპირველი აღიარება. ბიზნესის ნორმალური კურსის პირობებში კომპანია შედის გარიგებებში დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას მათი რეალური ღირებულების საფუძველზე. განსჯა გამოიყენება იმის განსაზღვრისათვის, არის თუ არა გარიგება საბაზრო ან არასაბაზრო საპროცენტო განაკვეთით, როდესაც არ არსებობს აქტიური ბაზარი ამგვარი გარიგებისათვის. განსჯის საფუძვლებია მსგავსი ტიპის გარიგეგებზე ფასები არადაკავშირებელ მხარეებთან და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზები.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) შეფასება. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება მნიშვნელოვანი შეფასებაა, რაც მოიცავს მეთოდოლოგიის, მოდელების და ამოსავალი მონაცემების განსაზღვრას. ქვემოთ ჩამოთვლილ კომპონენტებს აქვთ მთავარი ზეგავლენა საკრედიდო ზარალის ანარიცხზე : ვალდებულების შეუსრულებლობის დეფინიცია, საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა (SICR), ვალდებულების შეუსრულებლობის ალბათობა ("PD"), ვალდებულების შეუსრულებლობის ზემოქმედება ("EAD") და ვალდებულების შეუსრულებლობით მიღებული ზარალი ("LGD"). კომპანია მუდმივად განიხილავს და ადასტურებს მოდელებს და მოდელების ამოსავალ მონაცემებს, რათა შეამციროს ნებისმიერი სხვაობა შეფასებულ მოსალოდნელ საკერდიტო ზარალსა და ფაქტობრივ საკრედიტო ზარალს შორის.

საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა ("SICR"). იმისათვის რომ განისაზღვროს თუ რამდენად ჰქონდა ადგილი საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, კომპანია ადარებს ვალდებულების შეუსრულებლობის რისკს, რომელიც წამოიშვა ფინანსური ინსტრუმენტის ექსპლუატაციის განმავლობაში საანგარიშო თარიღის ბოლოს, ვალდებულების შეუსრულებლობის იმ რისკთან, რომელიც არსებობდა თავდაპირველი აღიარების თარიღისთვის. შეფასება უფრო მეტად ითვალისწინებს შესაბამის ზრდას საკრედიტო რისკში, ვიდრე საკრედიტო რისკის კონკრეტულ დონეს საანგარიშო პერიოდის ბოლოს. კომპანია ითვალისწინებს ყველა გონივრულ და მხარდამჭერ ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომია ზედმეტი დანახარჯის და ძალისხმევის გარეშე, რაც მოიცავს ფაქტორების ფართო სპექტრს, მათ შორის კონკრეტული მომხმარებლის ქცევით ასპეტებს. კომპანია ახდენს ქცევითი ინდიკატორების ზრდის იდნეტიფიცირებას საკრედიტო რისკში დელიკვიდაციამდე და მოიცავს შესაბამის ინფორმაციას საკრედიტო რისკის შეფასების პროცესში, როგორც ინდივიდუალური ინსტრუმენტის, ისე პორტფოლიოს დონეზე.

ბიზნეს მოდელის შეფასება. ბიზნეს მოდელი ახორციელებს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას. მენეჯმენტი ფინანსური ინსტრუმენტების პორტფოლიოსა და აგრეგატების განსასაზღვრად იყენებს მსჯელობას ბიზნეს მოდელების შეფასებისთვის. როდესაც ახდენს გაყიდვების გარიგებების შეფასებას , კომპანია განიხილავს მათ ისტორიულ სიხშირეს, ვადებს და მნიშვნელობას, გაყიდვების მიზეზებს და მოლოდინებს სამომავლო გაყიდვების საქმიანობის შესახებ. გაყიდვების შესახებ გარიგებები, რომლებიც მიზნად ისახავს პოტენციური ზარალის

შემცირებას საკრედიტო გაუარესების გამო, განიხილებაბიზნესმოდელის შესაბამისად- "ფლობა ფულადი ნაკადების მიღების მიზნით". ვადის გასვლამდე სხვა გაყიდვები, რომლებიც არ უკავშირდება საკრედიტო რისკების მართვას, აგრეთვე შეესაბამება ბიზნესის მოდელს ,, ფლობა ფულადი ნაკადების მიღების მიზნით'' , იმ პირობით, რომ ისინი იშვიათი ან უმნიშვნელოა ღირებულებით, როგორც ინდივიდუალურად, ასევე მთლიანობაში. გაყიდვების ღირებულების შედარებით ბიზნეს მოდელის პორტფოლიოს ღირებულებასთან , კომპანია ახდენს გაყიდვების გარიგების მნიშვნელობის შეფასებას , პორტფოლიოს საშუალო ექსპლუატაციის პერიოდის განმავლობაში. გარდა ამისა, ფინანსური აქტივების გაყიდვები, მოსალოდნელი მხოლოდ სტრესული სიტუაციების დროს, ან იზოლირებული მოვლენის საპასუხოდ,რომელიც არის კომპანიის კონტროლს მიღმა, არ არის განმეორებადი და მოსალოდნელი კომპანიისაგან, ითვლება შემთხვევით წარმოქმნილად ბიზნეს მოდელისთვის და არ ახდენს გავლენას შესაბამისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციაზე. ბიზნესმოდელი,რომლის მიზანია როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება,ასევე აქტივის გაყიდვა, გულისხმობს იმას, რომ აქტივები ფლობილია იმისათვის, რომ მოიზიდოს ფულადი ნაკადები, მაგრამ გაყიდვა აგრეთვე მისი შემადგენელი ნაწილია, რათა მოხდეს ბიზნეს მოდელის მიზნის მიღწევა, როგორიცაა ლიკვიდობის საჭიროების მართვა, კონკრეტული სარგებლის მიღწევა, ან ფინანსური აქტივების ხანგრძლივობის შეთავსება იმ ვალდებულებების ხანგრძლიოვბასთან, რომელიც აფინანსებს აღნიშნულ აქტივებს. ფასს 9-ზე გადასვლისთვის კომპანიამ განახორციელა თავისი პორტფოლიოს კლასიფიცირება,როგორც ფლობილი ფულადი ნაკადების მიღებისათვის.

საგადასახადო კანონმდებლობა. როგორც ეს შენიშვნებშია განხილული, საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობასთან შესაბამისობის დაცვა წარმოადგენს ინტერპრიტირების საგანს და შეიძლება მუდმივად გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ.

კომპანიის გაურკვეველი საგადასახადო პოზიციები მენეჯმენტის მიერ შეფასებულია ხელახლა ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღირიცხება მენეჯმენტის მიერ მოგების გადასახადის იმ პოზიციებზე, რომლებიც როგორც სავარაუდოა, არ გამოიწვიოს დამატებითი გადასახადების დაწესებას, თუ პოზიციები გასაჩივდრება საგადასახო ორგანოების მიერ. შეფასება დაფუძნებულია საგადასახადო კანონების ინტერპრეტირებაზე, რომლებიც ძალაში შევიდა ან ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის. ჯარიმების, საურავებისა და გადასახადების ვალდებულებები აღიარებულია მენეჯმენტის მიერ საანგარიშგებო პრეიოდის ბოლოსათვის ვალდებულებების დასაფარად საჭირო ხარჯების შეფასების საფუძველზე,

ამონაგების აღიარება-პროგრესის შეფასების მეთოდი. კომპანია საწარმოს შესასრულებელი ვალდებულებების შესრულების პროგრესის შესაფასებლად იყენებს რესურსების მეთოდებს. რესურსების მეთოდები აღიარებს ამონაგებს საწარმოსძალისხმევის საფუძველზე ან შესასრულებელი ვალდებულებების

შესასრულებლად გამოყენებული რესურსების (მაგ.: გამოყენებული რესურსები, დახარჯული სამუშაო საათები, გაწეული ხარჯები, მოცდენის დრო ან გამოყენებული მანქანა-საათები) შედარებით ვალდებულების შესასრულებლად საჭირო მთლიან რესურსებთან. რესურსების მეთოდი განისაზღვრება მენეჯმენტის მიერ შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით: (ა) შესაძლებელია შესასრულებელი სამუშაოდან მთლიანი ამონაგების საიმედოდ შეფასება ; (ბ) არის ალბათობა იმისა, რომ სუბიექტი შეაგროვებს (მიიღებს) იმ საზღაურს, რომლის მიღების უფლება მას აქვს იმ საქონლის ან მომსახურების სანაცვლოდ, რომელიც გადაეცემა მომხმარებელს; (გ) შესაძლებელია როგორც კონტრაქტის შესასრულებლად საჭირო დანახარჯების,ასევე შესასრულებელი ვალდებულების შესრულების პროგრესის საიედოდ შეფასება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ; და (დ) შესაძლებელია ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებული დანახარჯების მკაფიოდ შეფასება და იდენტიფიცირება ,ისე რომ შესაძლებელი იყოს გაწეული დანახარჯების შედარება ადრე შეფასებულთან .

სამუშაო ადგილის (საიტის) აღდგენის დანახარჯების ანარიცხები. მენეჯმენტი იყენებს განსჯასა და გამოცდილებას აღდგენის დანახარჯების გაწევისათვის მოქმედი კანონმდებლობისა და ლიცენზიის პირობების შესაბამისად. გამოყენებული ხელმისაწვდომი ინფორმაციის ანალიზისა და მენეჯმენტის გადაწყვეტილების ანალიზის საფუძველზე, წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულია სამუშაო მოედნის აღდგენის ღირებულების შესაბამისი ანარიცხი . სამუშაო ადგილის აღდგენის საბოლოო ღირებულება გაურკვეველია (განუსაზღვრელია) და ხარჯთაღრიცხვა შეიძლება განსხვავდებოდეს მრავალი ფაქტორიდან გამომდინარე, მათ შორის შესაბამის იურიდიულ მოთხოვნებში ცვლილებების შეტანის გამო, აღდგენის ახალი ტექნიკის აღმოცენებით, ან სხვა სამუშაო მოედნებზე მიღებული გამოცდილების გამო. მოსალოდნელი დრო და ხარჯების მოცულობაც შეიძლება შეიცვალოს, მაგალითად, ფაქტობრივი მოპოვების ან წარმოების დონის შესაბამისად. შედეგად შეიძლება შეიქმნას მნიშვნელოვანი დამატებითი ანარიცხის შექმნის საჭიროება, რომელიც გავლენას მოახდენს მომავალ ფინანსურ შედეგებზე.

იურიდიული სარჩელებისა და სხვა ანარიცხები.

კომპანიის მიერ იურიდიული დავების ანარიცხის შეფასება ეფუძნება მიმდინარე ხელმისაწვდომ ფაქტებს და მომავალში მთლიან გასავალს ან ვალდებულების შესახებ სამომავლო პასუხისმგებლობას. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს შეფასებებისგან და კომპანიის შეფასებები შეიძლება მომავალში შეიცვალოს დადებითად ან უარყოფითად, რაც დამოკიდებულია შედეგებზე ან იმ მოლოდინებზე, რომლებიც ეფუძნება ფაქტებს თითოეული ექსპოზიციის ირგვლივ.

5 ახალი ან შესწორებული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება

ფასს 16 - იჯარა (გამოიცა 2016 წლის 13 იანვარს და ძალაში შევიდა წლიური პერიოდისთვის 2019 წლის 1 აინვრიდან ან შემდეგ). ახალი სტანდარტი ადგენს იჯარების აღიარების, შეფასების, წარდგენისა და გამჟღავნების პრინციპებს. ყველა სახის იჯარის გაცემა შედეგად იწვევს იმას, რომ მოიჯარე იღებს აქტივის გამოყენების უფლებას იჯარის დასაწყისში და თუ ადგილი ექნება საიჯარო თანხების დროულად გადახდას, მოიჯარე აგრეთვე მოიპოვებს დაფინანსებას. შესაბამისად **ფასს16** გამორიცხავს იჯარების კლასიფიკაციას საოპერაციო, ან ფინანსურ იჯარებად, როგორც ეს მოითხოვებოდა **ბასს 17-ით** და ამის ნაცვლად, წარმოგვიდგენს საიჯარო აღრიცხვის ერთიან მოდელს. მოიჯარეებს მოეთხოვებათ აღიარონ: (ა) აქტივები და ვალდებულებები ყველა იჯარისთვის, რომელსაც აქვს 12 თვიანიან მეტი ვადა, თუ საიჯარო აქტივს არ არის დაბალი ღირებულების; და (ბ)საიჯარო აქტივების ცვეთა იჯარის ვალდებულებების ინტერესისგან განცალკევებით , მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში . **ფასს** 16 არსებითად ახორციელებს მეიჯარის აღრიცხვის მოთხოვნებს ,რომლებიც ადრე რეგულირდებოდა **ბასს** 17-ით. შესაბამისად, მეიჯარე აგრძელებს თავისი იჯარის კლასიფიკაციას ოპერაციულ და ფინანსურ იჯარებად და იჯარის ამ ორი ტიპის განსხავებულად აღრიცხვას.

6. ახალი საბუღალტრო აღრიცხვის დებულებები

გამოიცა გარკვეული ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც სავალდებულოა 2020 წლის 1 იანვრის დასაწყისში ან მოგვიანებით დაწყებული წლიური პერიოდებისთვის და რომლებიც კომპანიას ადრე არ მიუღია.

აქტივების გაყიდვა ან საკუთარ კაპიტალში შეტანა ინვესტორსა და მის მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოს შორის – ცვლილებები ფასს 10-ში და ბასს 28-ში (გამოიცა 2014 წლის 11 სექტემბერს და ძალაშია წლიური პერიოდისთვის იმ თარიღიდან ან შემდეგ, რომელსაც დაადგენს ბუღალტრული აღრიცხვიხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭო IASB). აღნიშნული ცვლილებები გულისხმობს შეუსაბამობას ფასს10–სა და ბასს 28–ში მოცემულ მოთხოვნებს შორის, რომელიც ეხება შემდეგს- აქტივების გაყიდვა ან საკუთარ კაპიტალში შეტანა ინვესტორსა და მის მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოს შორის. ცვლილებების მთავარი შედეგი არის ის, რომ მთლიანი შემოსულობა ან ზარალი აღიარებულია, მაშინ როდესაც გარიგება მოიცავს ბიზნესს. ნაწილობრივი შემოსულობა ან ზარალი აღიარებულია, მაშინ როდესაც გარიგება მოიცავს აქტივებს, რომლებიც არ მოიცავს ბიზნესს, მაშინაც კი, თუ ასეთ აქტივებს ფლობს შვილობილი საწარმო. კომპანია ამჟამად ახდენს ახალი სტანდარტის გავლენის შეფასებას მის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს 17 -" სადაზღვევო ხელშეკრულებები "(გამოიცა 2017წლის 18 მაისს და ძალაში შედის წლიური პერიოდისთვის 2021 წლის 1 იანვრიდან ან შემდეგ.) ფასს 17 ჩაანაცვლა **ფასს** 4-მა, რამაც კომპანიებს უფლება მისცა გაეგრძელებინათ სადაზღვევო ხელშეკრულებების აღრიცხვა, არსებული პრაქტიკის გამოყენებით. შედეგად, ინვესტორებისთვის რთული იყო მსგავსი სადაზღვევო კომპანიების ფინანსური შედეგების შედარება და განსხვავება. ფასს 17 არის ერთ პრინციპზე დაფუძნებული სტანდარტი, ყველა ტიპის სადაზღვევო ხელშეკრულებების აღრიცხვისათვის, გადაზღვევის ხელშეკრულებების ჩათვლით, რომელსაც ფლობს მზღვეველი. სტანდარტი მოითხოვს სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფების აღიარებასა და შეფასებას: (i) მომავალი ფულადი ნაკადების რისკებით კორექტირებული ამჟამინდელი ღირებულება (შესრულების ფულადი ნაკადები), რომელიც მოიცავს ყველა ხელმისაწვდომ ინფორმაციას შესრულების ფულადი ნაკადების შესახებ, დაკვირვებადი ბაზრის ინფორმაციის შესაბამისად. პლიუს (თუ ეს ღირებულება წარმოადგენს ვალდებულებას) ან მინუს (თუ ეს ღირებულება არის აქტივი) (ii) თანხა, რომელიც წარმოადგენს გამოუმუშავებელ მოგებას ხელშეკრულებების ჯგუფში (სახელშეკრულებო მომსახურების ზღვარი). მზღვეველები სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფიდან აღიარებენ მოგებას იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ისინი ახორციელებენ დაზღვევის დაფარვას, რადგან ისინი თავისუფლდებიან რისკებიდან. თუ ხელშეკრულებების ჯგუფი არის ან გახდება ზარალის მომტანი, საწარმო დაუყოვნებლივ აღიარებს ზარალს. კომპანია არ მოელის ცვლილებებისგან არსებით გავლენას აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშგებებზე .

კონცეპტუალური ჩარჩოების ცვლილებები ფინანსური ანგარიშგებისათვის. (გამოცემულია 2018 წლის 29 მარტს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის 2020 წლის 1 იანვრიდან ან შემდგომ). გადასინჯული კონცეპტუალური ჩარჩოები მოიცავს შეფასების ახალ თავს ; მითითებები ფინანსური ანგარიშგების საქმიანობის შესახებ; გაუმჯობესებული განმარტებები და მითითებანი-კერძოდ ვალდებულების განმარტება; და დაზუსტებები ისეთ მნიშვნელოვან სფეროებში, როგორიცაა მართვისუნარიანობის, წინდახედულობის და განუსაზღვრელობის შეფასების როლი ფინანსურ ანგარიშგებაში.

საწარმოს განსაზღვრება–ცვლილებები ფასს 3 -ში (გამოცემულია 2018 წლის 22 ოქტომბერს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის 2020 წლის 1 იანვრიდან ან შემდგომ). ცვლილებით გადაიხედა საწარმოს განმარტება . ბიზნესს უნდა ჰქონდეს რესურსები და ძირითადი პროცესები, რომლებსაც ერთად მნიშვნელოვანი წვილილი შეაქვთ შედეგების მიღებაში. ახალი სახელმძღვანელო უზრუნველყოფს შეფასების ჩარჩოს, სადაც წარმოდგენილია რესურსები და ძირითადი პროცესი, მათ შორის ადრეულ საფეხურებზე მყოფი კომპანიებისთვის, რომლებსაც ჯერ კიდევ არ

აქვთ მიღებული შედეგები. თუ საწარმოში შედეგი არ არის, სამუშაო ძალის ორგანიზება უნდა იყოს წარმოდგენილი, როგორც კლასიფიკაციის პირობა . ტერმინი „შედეგი“-ს განმარტება შევიწროვებულია, რათა ყურადღება გამახვილდეს მომხარებლისთვის მიწოდებულ საქონელსა და მომსახურებაზე, მიღებულ საინვესტიციო შემოსავალზე და სხვა შემოსავალზე, და იგი გამორიცხავს ანაზღაურებას უფრო დაბალი ღირებულებით და სხვა ეკონომიკური სარგებლით. აგრეთვე არ დგას საჭიროება იმისა, რომ შეფასდეს თუ რამდენად შესწევთ საბაზრო მონაწილეებს უნარი იმისა, რომ ჩაანაცვლონ დაკარგული ელემენტები ან მოახდინონ შეძენილ აქტივობებსა და აქტივებში ინტეგრირება. სუბიექტს შეუძლია გამოიყენოს „კონცენტრირების ტესტი“. შეძენილი აქტივები არ წარმოადგენენ საწარმოს , თუკი მიღებული მთლიანი აქტივების რეალური ღირებულება მოექცევა ერთ აქტივში (ან მსგავსი აქტივების ჯგუფში). ცვლილებები პერსპექტიულია და კომპანია მათ გამოიყენებს და შეაფასებს მათ ზეგავლენას 2020 წლის 1 იანვრიდან.

არსებითობის განსაზღვრება – ცვლილებები ბასს 1 და ბასს 8-ში (გამოცემულია 2018 წლის 31 ოქტომბერს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის 2020 წლის 1 იანვრიდან ან შემდგომ). ცვლილებები აზუსტებს არსებითობის განმარტებას და იმას, თუ როგორ უნდა იქნას გამოყენებული განმარტებითი სახელმძღვანელო, რომელიც ფასს-ში დღემდე სხვაგან იყო განმარტებული. ამასთანავე გაუმჯობესდა ახსნა-განმარტებები, რომლებიც თან ახლავს განმარტებას. და ბოლოს, ცვლილებები უზრუნველყოფს, რომ არსებითობის განსაზღვრება არის თანმიმდევრული (შესაბამისი) ყველა ფას სტანდარტის. ინფორმაცია არსებითია, თუ მისი გამოტოვება, უზუსტობა ან ბუნდოვანობა გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელია, რომ გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების გადაწყვეტილებაზე, რომლებიც გადაწყვეტილებას იღებენ ამ ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე . კომპანია ამჟამად აფასებს ცვლილებების ზეგავლენას თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე. თუ ზემოთ სხვაგვარად არ არის აღწერილი, მოსალოდნელი არ არის ახალი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების არსებითი გავლენა კომპანიის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

7 ძირითადი საშუალებები

მოძრაობა ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებებში იყო შემდეგი:

შპს ,,ქართუ უნივერსალის"

ძირითადი საშუალებები (ლარი)

დასახელება	ნარჩენი ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	შემოსვლა	გასვლა	ცვეთა	ნარჩენი ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
მიწის ნაკვეთები	12602922				12602922
შენობები	589373	61367	50000	32054	568685
ნაგებობები	60586	59793		12159	108220
მანქანა-დანადგარები	5309081	586742	589411	539677	4766735
ოფისის აღჭურვილობა	136761	90493	1665	72834	152755
ავეჯი და სხვა ინვენტარი	1817964	143606	607	865859	1095103
სატრანსპორტო საშუალებები	1069558	179049		205263	1043344
სულ ძირითადი საშუალებები	**21586245**	**1121049**	**641683**	**1727846**	**20337765**

8. არამატერიალური აქტივები

შპს ,,ქართუ უნივერსალი"

არამატერიალური აქტივები (ლარი)

დასახელება	ნარჩენი ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	შემოსვლა	გასვლა	ცვეთა	ნარჩენი ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ლიცენზიები	142188.08	_	_	8,619.60	133,568.48
პატენტები	14291.83	_	_	2,274.12	12,017.71
სხვა არამატერიალური აქტივები	29344.56	_	_	5,571.48	23,773.08
სულ	**185824.47**	**_**	**_**	**16,465.20**	**169,359.27**

9. მარაგები

შპს ,,ქართუ ულივერსალი"
მარაგები (ლარი)

დასახელება	ნაშთი2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	შეძენა	ჩამოწერა	ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საქონელი	1520470	46847155	45734262	2633363
ნედლეული და მასალები	2778623	3705021	3417555	3066089
დაუმთავრებელი წარმოება	38	30739360	30739349	50
მზა პროდუქცია	562333	38698688	38902650	358370
საკუთარი წარმოების ნახევარფაბრიკატები	407134	24911740	25117536	201338
სულ მარაგები	**5268597**	**144901965**	**143911352**	**6259211**

10 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

შპს ,,ქართუ ულივერსალი"
სავაჭრო და სვა მოთხოვნები (ლარი)

შინაარსი	ნაშთი2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	დებეტი	კრედტი	ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	2383957	92868848	93194884	2057922
ანგარიშსწორება საცალო ვაჭრობაში	11	3174069	3174069	11
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	10790	536332	503673	43449
სულ	**2394759**	**96579249**	**96872627**	**2101381**

11 დამკვეთებთან დადებული ხელშეკრულებებიდან წარმოშობილი აქტივები

შპს ,,ქართუ უნივერსალი"

დამკვეთებთან დადებული ხელშეკრულებებიდან წარმოშობილი აქტივები (ლარი)

შინაარსი	ნაშთი2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	დებეტი	კრედტი	ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
უცხოელ მომწოდებლები გადახდილი ავანსები	324812	12613463	11947572	990703
სხვადსხვა მომსახურებაზე გადახდილი ავანსი	76530	3372585	3415941	33174
საგადასახადო აქტივი	345942	11066035	10876027	535950
სულ	**747284**	**27052083**	**26239540**	**1559827**

12 ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

შპს ,,ქართუ უნივერსალი"

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები (ლარი)

დასახელება	2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ნაღდი ფული სალაროში	87,716	200,902
ფული ბანკში	59291	6,102,589
სულ	147007	6303491

13 საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალში 2019-2020 წლებში ცვლილებები არ განხორციელებულა

14. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

შპს ,,ქართუ უნივერსალი"

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

(ლარი)

დასახელება	ვალდებულება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	ვალდებულება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
მოკლევადიანი ვალდებულებები (ადგილობრივი მომწოდებლები)	-727149	-1489386
სულ	-727149	-1489386

ვალდებულებები გრძელვადიანი და მოკლევადიანი სესხების შესახებ

	2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
მოკლევადიანი სესხები	4272727	10795000
გრძელვადიანი სესხები	9120280	6410006
სულ	13393007	17205006

15. ანარიცხები ვალდებულებების და გადასახადების შესახებ

შპს ,,ქართუ უნივერსალი"

საგადასახადო ვალდებულებები

(ლარი)

დასახელება	ვალდებულება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	ვალდებულება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები (საპენსიო ფონდი)	10854	0
სულ	10854	0

16. ამონაგები და შემოსავლები

შპს ,,ქართუ უნივერსალი"

2020 წლის ამონაგები

(ლარი)

დასახელება	2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	44088850	43767661
არასაოპერაციო შემოსავალი	10742	2174
საიჯარო შემოსალები	44099592	43769835

17. თანამშრომელთა ხარჯები

კომპანიის მიერ 2020 წლის განმავლობაში თანამშრომლებზე ხელფასის სახით გადახდილია - 8 807 956,0 ლარი.

დასახელება	2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
შრომის ანაზღაურება (ხელფასი)	8807956	8169534
სულ	8807956	8169534

18. ფინანსური რისკის მართვა

კომპანიაში რისკების მართვის ფუნქცია ხორციელდება ფინანსური რისკების, საოპერაციო რისკების და იურიდიული რისკების გათვალისწინებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (სავალუტო რისკის, საპროცენტო განაკვეთის რისკის და სხვა ფასების რისკის ჩათვლით), საკრედიტო რისკს და ლიკვიდობის რისკს. ფინანსური რისკების მართვის ფუნქციის ძირითადი მიზნებია რისკის ლიმიტების დადგენა, შემდეგ კი იმაში დარწმუნება,რომ რისკების ზემოქმედება აღნიშნული ლიმიტების ფარგლებში ნარჩუნდება. საოპერაციო და იურიდიული რისკების მართვის ფუნქციები მიზნად ისახავს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სათანადოდ ფუნქციონირებას, იმისათვის, რომ შეამციროს საოპერაციო და სამართლებრივი რისკები.

19. კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას კომპანიის მიზნებს წარმოადგენს თავისი შესაძლებლობების დაცვა, რათა გააგრძელოს არსებობა როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, იმისათვის, რომ უზრუნველყოს აქციონერებისთვის თანხების დაბრუნება, სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის სარგებლის მოტანა და კაპიტალის დანახარჯის შესამცირებლად ოპტიმალური კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნება. იმისათვის რომ შეინარჩუნოს ან დააკორექტიროს კაპიტალის სტრუქტურა, კომპანიამ შეიძლება შეცვალოს აქციოენერებისთვის გადახდილი დივიდენდების ოდენობა, დაუბრუნოს კაპიტალი აქციონერს ან გაყიდოს აქტივები ვალის შესამცირებლად. კაპიტალის თანხა, რომელსაც კომპანია მართავდა 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შეადგენდა 26691706,0 ლარს, მართვის ქვეშ არსებულ მთლიან კაპიტალს კომპანია მიიჩნევს საკუთარ კაპიტალად, როგორც ეს მოცემულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

20. რეალური ღირებულების განმარტებითი შენიშვნები

რეალური ღირებულების დადგენა ხდება ეტაპებად რეალური ღირებულების იერარქიის შესაბამისად, შემდეგი სახით: (i) პირველი ეტაპის დადგენა კოტირებულ ფასებში (არაკორექტირებული) აქტიურ ბაზარზე არსებული იდენტური აქტივების ან ვალდებულებებისთვის, (ii) მეორე ეტაპის განსაზღვრა წარმოადგენს შეფასების ტექნიკას ყველა მატერიალური წარმოების ხარჯებით, რაც შეინიშნება აქტივის ან ვალდებულებისთვის, პირდაპირ (ფასებით) ან არაპირდაპირ (ფასებიდან გამომდინარე) და (iii) მესამე ეტაპის დაგდენა არ არის დაფუძნებული საბაზრო მონაცემებეზე (არაცხადი მონაცემები). ფინანსური ისნტრუმენტების კატეგორიებად დაყოფისას მენეჯმენტი იყენებს განსჯას რეალური ღირებულების იერარქიის გამოყენებით. თუ რეალური ღირებულება იყენებს თვალსაჩინო მონაცემებს, რომელიც მოითხოვს მნიშვნელოვან კორექტირებას, ეს შეფასება არის მე-3 დონის შეფასება. შეფასების საშუალებების მნიშვნელობა რეალური ღირებულების წინააღმდეგ ფასდება მთლიანობაში.

21. შეფასების კატეგორიის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა

შეფასების მიზნებისთვის ფასს 9 “ფინანსური ინსტრუმენტები” ახდენს ფინანსური აქტივების კლასიფიცირებას შემდეგ კატეგორიებად: (ა) ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL); (ბ) სავალო ინსტრუმენტები რეალური ღირებულებით ,სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI), (გ) კაპიტალის ინსტრუმენტები ,რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით და (დ) ფინანსური ინსტრუმენტები ამორტიზირებული ღირებულებით (AC). ფინანსურ აქტივებს,რომლებიც აისახება რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში ორი ქვეკატეგორია: (i) აქტივები, რომელთა შეფასება სავალდებულოა რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით, და

(ii) აქტივები, რომლებიც შეფასდა, თავდაპირველი აღიარებით ან შემდგომში. ამასთანავე, ფინანსური იჯარით წარმოქმნილი მოთხოვნები ქმნიან ცალკეულ კატეგორიას. 2017 წლის 31 დეკემბრისათვის, შეფასების მიზნებისთვის, ბასს 39 “ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“, ახდენს ფინანსური აქტივებს კლასიფიცირებას შემდეგ კატეგორიებად: (ა) სესხები და მოთხოვნები; (ბ) გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები; (გ) ფინანსური აქტივები დაფარვის ვადამდე ფლობილი და (დ) ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით (“FVTPL”). ფინანსურ აქტივებს რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით აქვს ორი ქვეკატეგორია: (i) აქტივები,თავდაპირველი აღიარებით შეფასებული და (ii) სავაჭროდ გამიზნული აქტივები . ამასთანავე,ფინანსური იჯარით წარმოქმნილი მოთხოვნები ქმნიან ცალკეულ კატეგორიას. კომპანიის ყველა ფინანსური აქტივი განეკუთვნება სესხებს და მოთხოვნებს . კომპანიის ყველა ფინანსური ვალდებულება ასახულია ამორტიზებული ღირებულებით.

22 საანგარიშო პერიოდის შემდეგი მოვლენები

კომპანიაში 2021 წლის 01 იანვრიდან 01 სექტემბრამდე პარტნიორებზე განაწილებულია - 1 541 894,83 ლარი დივიდენდი, 2021 წელს სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები არ მომხდარა

დირექტორი

გიორგი ჭყონია

მთ. ბუღალტერი

მამუკა ჩემია

დასკვნის თარიღისათვის. თუმცა, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა, ან გარემოებამ, შესაძლოა გამოიწვიოს ის, რომ კომპანიამ შეწყვიტოს არსებობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ.

- ვახორციელებთ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მთლიანი პრეზენტაციის, სტრუქტურისა და შინაარსის შეფასებას, მათ შორის განმარტებითი შენიშვნების შეფასებას და ვადგენთ, თუ რამდენად სამართლიანადაა წარმოდგენილი ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი ოპერაციები და მოვლენები.

  ვაწარმოებთ კომუნიკაციას იმ პირებთან, რომლებიც ჩართულნი არიან მმართველობის საკითხებში, სხვა საკითხებთან ერთად, ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების,ასევე აუდიტის მიერ მოპოვებული მნიშვნელოვანი აღმოჩენების,მათ შორის შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, რომლებიც აღმოვაჩინეთ ჩვენი აუდიტის განმავლობაში.

შპს „აუდიტი - A" -ს სახელით (რეგისტრაციის № SARAS-F-911029)

ჯემალ ალანია (რეგისტრაციის № SARAS-A-336078)

29 სექტემბერი 2021 წელი

თბილისი, საქართველო

შპს ,,ქართუ ინივერსალის" ფინანსური მდგომარეობა 2020 წლის 31 დეკემბრისათვის

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2020	31/12/2019	31/12/2018
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	147007	6169307	147283
სხვა მხარეებზე ავანსებად გაცემული ფულადი სახსრები	1023877	0	0
მოკლევადიანი მარაგები	6259211	5241353	5821599
გრძელვადიანი მარაგები	0	0	0
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2101382	4628116	2969685
გადავადებული საგადასახადო აქტივები	0	0	0
სხვა საგადასახადო აქტივი	535950	0	0
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	0	2824145	2133780
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	3957500	3957500
სხვა არამატერიალური აქტივები	169359	0	0
ძირითადი საშუალებები	20337775	15308195	11386296
სულ აქტივები	30574561	38128616	26416143
ვალდებულებები			
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	0	0	0
საიჯარო ვალდებულება	0	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	727149	2610077	601331
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0	0	0
ანარიცხები	0	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	4272727	10795000	0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	9120280	6410006	6668451
გადასახდელი დივიდენდები	0	0	0
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	10854	0	0
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	0	0	0
შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოები	0	0	0
სულ ვალდებულებები	14131010	19815083	7269782
საკუთარი კაპიტალი			
კაპიტალი	222676	222676	222676
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	16220875	18090857	18923685
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	16443551	18313533	19146361
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	30574561	38128616	26416143

დირექტორი გიორგი ჭყონია

მთ: ბუღალტერი მამუკა ჩემია

შპს ,,ქართუ უნივერსალის" საქმიანობის შედეგები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		
საქმიანობის შედეგები	**31/12/2020**	**31/12/2019**
საქმიანობის შედეგები		
ამონაგები	44088850	43767661
გაყიდვების თვითღირებულება	-20013740	-21334349
გამოყენებული ნედლეული და მასალები	0	0
საერთო მოგება	24075110	22433312
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0	0
დაქირავებულ პირთა გასამრჯელოების ხარჯი	-8807956	-8169534
სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურების ხარჯი	0	0
აუდიტორის ანაზღაურების ხარჯი	-15000	0
საკონსულტაციო ხარჯი	0	-54073
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები	0	0
იჯარის ხარჯი	-537530	-3037606
ტრანსპორტირებისა და გადაცემის ხარჯი	-2775579	-664348
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-2372416	-1951259
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-5309897	-4845414
საოპერაციო მოგება	4256732	3711078
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	0	-795485
სხვა ფინანსური შემოსავალი	0	2174
საპროცენტო ხარჯი	-102784	0
სხვა ფინანსური ხარჯი	-2706146	-1185791
მოგება / (ზარალი) სესხის ვადამდელი დაფარვიდან	0	0
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	10742	-302594
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	1458544	1429382
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0
მოგება / (ზარალი) განგრძობითი ოპერაციებიდან	1458544	1429382
მოგება / (ზარალი) შეწყვეტილი ოპერაციებიდან	0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	1458544	1429382

შემდგომში არ შეიძლება რომ რეკლასიფიცირებული იყოს მოგებაში ან ზარალში (დაბეგვრის შედეგების გამოკლებით / გათვალისწინებით):

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	1458544	1429382

დირექტორი გიორგი ჭყონია

მთ: ბუღალტერი მამუკა ჩემია

შპს "ქართუ-უნივერსალი" "KARTU-UNIVERSAL" Ltd 204885874 GEORGIA

შპს ,,ქართუ უნივერსალის" ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2020	31/12/2019
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	84017880	2117953
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-88174365	-6873159
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-1865815	10777230
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	-6022300	6022024
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	0	0
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	6169307	147283
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	147007	6169307

დირექტორი გიორგი ჭყონია

მთ: ბუღალტერი მამუკა ჩემია

შპს "ქართუ-უნივერსალი" "KARTU-UNIVERSAL" Ltd 204885874 GEORGIA

შპს ქართუ-უნივერსალის

კაპიტალის მოძრაობის ინდივიდუალური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	მფლობელთა კაპიტალი	დაგროვილი მოგება/ ზარალი	სულ
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**222676**	**18923685**	**19146361**
შენატანები კაპიტალში	0	0	0
პერიოდის შემოსავალი	0	1429382	1429382
გადახდილი დივიდენდი	0	-2262210	-2262210
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**222676**	**18090857**	**18313533**
შენატანები კაპიტალში	0	0	0
პერიოდის შემოსავალი	0	1458544	1458544
გადახდილი დივიდენდი	0	-3328526	-3328526
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**222676**	**16220875**	**16443551**

დირექტორი გიორგი ჭყონია

მთ: ბუღალტერი მამუკა ჩემია

(ii) აქტივები, რომლებიც შეფასდა, თავდაპირველი აღიარებით ან შემდგომში. ამასთანავე, ფინანსური იჯარით წარმოქმნილი მოთხოვნები ქმნიან ცალკეულ კატეგორიას. 2017 წლის 31 დეკემბრისათვის, შეფასების მიზნებისთვის, ბასს 39 "ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება", ახდენს ფინანსური აქტივებს კლასიფიცირებას შემდეგ კატეგორიებად: (ა) სესხები და მოთხოვნები; (ბ) გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები; (გ) ფინანსური აქტივები დაფარვის ვადამდე ფლობილი და (დ) ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით ("FVTPL"). ფინანსურ აქტივებს რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით აქვს ორი ქვეკატეგორია: (i) აქტივები,თავდაპირველი აღიარებით შეფასებული და (ii) სავაჭროდ გამიზნული აქტივები . ამასთანავე,ფინანსური იჯარით წარმოქმნილი მოთხოვნები ქმნიან ცალკეულ კატეგორიას. კომპანიის ყველა ფინანსური აქტივი განეკუთვნება სესხებს და მოთხოვნებს . კომპანიის ყველა ფინანსური ვალდებულება ასახულია ამორტიზებული ღირებულებით.

22 საანგარიშო პერიოდის შემდეგი მოვლენები

კომპანიაში 2021 წლის 01 იანვრიდან 01 სექტემბრამდე პარტნიორებზე განაწილებულია - 1 541 894,83 ლარი დივიდენდი, 2021 წელს სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები არ მომხდარა

დირექტორი

გიორგი ჭყონია

მთ. ბუღალტერი

მამუკა ჩემია

შპს "ქართუ-უნივერსალი" "KARTU-UNIVERSAL" Ltd 204885874 GEORGIA

მმართველობის ანგარიშგება

2020 წელი

სარჩევი

შესავალი 2

წარდგინება კომპანიის დირექტორისაგან 2

საქმიანობის მიმოხილვა 3

კომპანიის შესახებ 3

რას ვსაქმიანობთ 4

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასთან ბრძოლა 9

კორპორაციული მართვის ანგარიშგება 10

დირექტორის მოკლე ბიოგრაფია 10

სტრუქტურის თავისებურებანი და მაგალითები 10

კომპანიის პოლიტიკა 11

არაფინანსური ანგარიშგება 14

ჩვენი გუნდი 14

ჯანსაღი გარემო შრომისათვის 14

ჯანმრთელობა და უსაფრთხოება სამუშაო ადგილზე 14

კორუფციასთან ბრძოლა 15

ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე პასუხისმგებელი პირები 15

მმართველობის ანგარიშგება

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი, აერთიანებს კომპანიასთან დაკავშირებულ ისეთ არსებით კომპონენტებს, როგორიცაა საქმიანობის შინაარსი, მომსახურების სტანდარტები; მოიცავს კომპანიის, როგორც განვლილ მიღწევებს, ისე მომავალში დასახულ მიზნებსა და რაც ყველაზე მთავარია ფაქტობრივ მაჩვენებლებს კომპანიის განვითარების პოტენციალისა. ამასთან, გიზიარებთ ანალიტიკურ ინფორმაციას იმ ბიზნეს რისკების შესახებ, რომლებიც ქმნიან უმნიშვნელო თუ სერიოზულ წინაღობებს საქმიანობისათვის. აღნიშნული დოკუმენტში ასახულია ჩვენი ხედვა, სამომავალო გეგმები და კომპანიაში დამკვიდრებული კორპორაციული ეთიკის სტანდარტები.

წარდგინება დირექტორისაგან

მოხარული ვარ წარმოგიდგინოთ შპს ,,ქართუ უნივერსალის" მმართველობის ანგარიშგება. ანგარიშგების მიზანია თვალსაჩინო გავხადოთ კომპანიის საქმიანობის სპექტრი და ჩვენი მომსახურეობის მოწოდება გავზარდოთ არსებული ბიზნესი, ხარისხისა და ეფექტურობის პარალელურად. ჩვენი რესურსები ორიენტირებულია ინოვაციების დამკვიდრებაზე, ხარჯების ეფექტურობასა და უსაფრთხოებაზე. ვამაყობ, რომ შპს ,,ქართუ უნივერსალში" გვაქვს კარგად ჩამოყალიბებული მისია, მაღალ ღირებულებებზე დამყარებული ხედვა და სოციალური პასუხისმგებლობის გრძნობა. მადლობას გიხდით გამოჩენილი ინტერესისათვის, ჩვენ მზად ვართ შევეჭიდოთ ნებისმიერ გამოწვევას, რათა მოვიპოვოთ ნდობა და პატივისცემა ჩვენი მომხმარებლების, პარტნიორებისა და დასაქმებულებისაგან.

საქმიანობის მიმოხილვა

კომპანიის შესახებ

შპს " ქართუ უნივერსალი " შეიქმნა 1996 წელს და სამართლებრივად წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნებულია და ფუნქციონირებს საქართველოში კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული და ფაქტიური მისამართია ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი II ჩიხი №11.

კომპანიის დამფუძნებელი-პარტნიორებია შემდეგი ფიზიკური პირები:

1) 01008000849, გიორგი თოფაძე 20,5%
2) 01008010799, ვლადიმერ გაწერელია 4%
3) 01018000518, ზურაბ კოსტავა 3%
4) 01018003241, გიორგი ჭყონია 4%
5) 01008016933, პაატა ქვლივიძე 2%
6) 01024024666, ლევან კავლელიშვილი 2.4%
7) 01018003215, ვლადიმერ კუხიანიძე 2.4%
8) 01008008045, გიორგი გვასალია 2.4%

9) 01005011697, ირაკლი კანკია 2.4%
10) 01005003998, დავით კიღურაძე 2.4%
11) 01019010260, ქეთევან ბოლქვაძე 0.5%
12) 01024001118, გიორგი თედორაძე 2%
13) 01008009172, ნიკოლოზ სვანიძე 5%
14) 01008026530, ეკატერინე ძაგნიძე 1%
15) 31001008089, ნიკოლოზ სონღულაშვილი 1%
16) 01008004721, ირაკლი თოფაძე 20%
17) 01008005986, გიორგი თოფაძე 20%
18) 01005011547, ოთარი ჭილაძე 1%
19) 01008014210, გიორგი თოფაძე 1%
20) 01008002259, ფატი კაპანაძე 1%
21) 01011060181 მარიამ ჩხარტიშვილი 1%

კომპანიის დირექტორია გიორგი ჭყონია

კომპანიის საქმიანობა

შპს ,,ქართუ უნივერსალის" ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ნაყინის წარმოება და მისი რეალიზაცია, კომპანია საქართველოს ბაზარზე ნაყინის რეალიზაციას ახდენს 1996 წლიდან, ზამთრის პერიოდში კომპანია ახდენს ნახევარფაბრიკატების (გაყინული პელმენი, ხინკალი და სხვა ხორცპროდუქტები) დისტრიბუციას, კომპანიამ საქონლის წარმოება და რეალიზაცია მნიშვნელოვნად გაზარდა 2012 წლიდან, შესაბამისად გაიზარდა კომპანიის ფინანსური შედეგი, 2014 წლიდიდან კომპანიამ დამფუძნებელ პარტნიორთა გადაწყვეტილებით სისტემატურად დაიწყო დივიდენდების განაწილება.

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასთან ბრძოლა

კომპანია ცდილობს დაამკვიდროს უმაღლესი სტანდარტები და გამორიცხოს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების შემთხვევა. ჩვენთან თანამშრომლობის პირველი წინაპირობაა, პარტნიორთა საქმიანობაზე, რეპუტაციასა და არსებით დეტალებზე ძირფესვიანი მოკვლევა. პრიორიტეტულია, რომ არ მოხდეს უკანონო საქმიანობით მიღებული შემოსავლების ბრუნვა და ამ მხრივ ნებისმიერი ეჭვის შემთხვევაში კომპანია მიმართავს კომპეტენტურ ორგანოებს მითითებების მიღებისა და ადეკვატური რეაგირებისათვის.

შპს ,,ქართუ უნივერსალი" ითვალისწინებს საქართველოს ეროვნული ბანკისა და ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ყველა მოთხოვნასა და რეკომენდაციას, აქტიურად თანამშრომლობს მათთან და ცდილობს წვლილი შეიტანოს უკანონო შემოსავლის აღკვეთასა და ტერორიზმთან ბრძოლაში. დღემდე ამ კუთხით შპს ,,ქართუ უნივერსალში" არ გამოვლენილა არც ერთი უკანონო შემთხვევა, რომელიც განხორციელდა საგადახდო არხების ან მისი საქმიანობის ხელშეწყობით.

კორპორაციული მართვის ანგარიშგება

კომპანიის სტრუქტურა მაქსიმალურადაა მორგებული ბიზნეს საქმიანობის გამარტივებასა და ეფექტურობაზე, სტრუქტურის თავში გვევლინება დირექტორი გიორგი ჭყონია

დირექტორის მოკლე ბიოგრაფია

- გიორგი ჭყონია შპს ,,ქართუ უნივერსალის" დირექტორად დაინიშნა 2003 წლიდან და არის პროფესიონალი, წარმოებაში მუშაობის დიდი გამოცდილებით.

სტრუქტურის თავისებურებანი და მაგალითები

კომპანიის სტრუქტურა შედგება ჰორიზონტალური და ვერტიკალური ხაზით დაკავშირებული ქვედანაყოფებისაგან, რომელთაგან ყველა ექვემდებარება დირექტორს ან/და ზედამხედველ სტრუქტურულ ერთეულს. სწორედ ეს დანაყოფები არიან პასუხისმგებელი კომპანიის ოპერაციულ საქმიანობაზე. ნებისმიერი სამსახურისათვის ცალკეულად ყალიბდება პროცედურული დოკუმენტაცია, რომელიც შემდგომ იყოფა თითოეული თანამდებობისათვის მიკუთვნებული ფუნქცია-მოვალეობებისათვის დამახასიათებელი პროცედურის აღწერილობით. ჩვენი სტრუქტურის ჩამოყალიბებისა და განახლებების პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება უფლება-მოვალეობების ზუსტ გამიჯვნასა და პროცედურული ინსტრუქციების ნათლად გამოსახვას, რათა მოხდეს შესასრულებელი სამუშაოს სრულად დაფარვა, ისე, რომ ეფექტურად იქნეს გამოყენებული ადამიანური თუ მატერიალური რესურსი.

კომპანიის პოლიტიკა

საერთაშორისო რეგულაციებისა და საუკეთესო პრაქტიკის მიხედვით შექმნილი კორპორაციული მართვის პრინციპების დანერგვისათვის, კომპანიაში შექმნილია პოლიტიკები, რომლებიც განსაზღვრავენ თანამშრომელთა მოქცევისა და ყოველგვარ დარღვევაზე ადეკვატური რეაგირების წესებს. პოლიტიკებს შორის განსაკუთრებული მნიშვნელობით გამოირჩევა:

ინტერესთა კონფლიქტის მართვის პოლიტიკა

პოლიტიკის მიზანია განსაზღვროს არსებული, პოტენციური და შესაძლო ინტერესთა კონფლიქტის ფაქტების განსაზღვრის, მართვისა და აღკვეთის წესები. განმარტოს ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებული თემები და დაეხმაროს თანამშრომლებს მათ პრევენციასა და ადეკვატურ რეაგირებაში. კერძოდ:

განსაზღვროს ის სიტუაციები, სადაც შესაძლებელია წარმოიშვას ინტერესთა კონფლიქტი;

ჩამოაყალიბოს ინტერესთა კონფლიქტის აღმოჩენის, პრევენციისა და მართვის პროცედურები, მექანიზმები და სისტემები;

დაიცვას კომპანიის, მისი მომხმარებლების, თანამშრომლების, ინვესტორებისა და მომწოდებლების ინტერესები, კონფლიქტის აღმომფხვრელი შესაბამისი ზომების შემუშავებით;

უზრუნველყოს საქართველოს ეროვნული ბანკის რეგულაციებთან შესაბამისობა.რომელიც გულისხმობს რისკების შეფასებაზე დაფუძნებული მიდგომით ინფორმაციის კლასიფიცირებას, შესაბამისი პასუხისმგებელი პირების განსაზღვრას, ინფორმაციისა და ინფორმაციული რესურსების დახარისხებას კონფიდენციალურობის დონის მიხედვით, წვდომისა და გამოყენების სხვა წესების შემუშავებას. აღნიშნული პოლიტიკის თანახმად, ინფორმაცია იყოფა კონფიდენციალურობის ოთხ კატეგორიად, ესენია - ,, საჯარო", ,,შიდა მოხმარების", ,,კონფიდენციალური" და ,, სრულიად საიდუმლო".

ინტერესთა კონფლიქტის პრევენციის მიზნით დაწესებული შეზღუდვები/აკრძალვები:

- საქმიანობა დამსაქმებელი კომპანიის გარეთ;
- ნათესაური კავშირები დაქვემდებარებულ თანამშრომელთა შორის;
- აზარტული თამაშებისადმი დამოკიდებულება;

- ნარკოდამოკიდებულება;
- პერსონალური ტრანზაქციები.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა

დოკუმენტის მიზანია პერსონალური მონაცემების შესახებ საქართველოს კანონისა და საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, საჭირო პროცესების და რეგულაციების დანერგვა და აღწერა. ამ კუთხით თანამშრომელთათვის აუცილებელი შეზღუდვების დაწესება და ამავდროულად მათი პერსონალური მონაცემთა დაცვა უკანონო და არამიზნობრივი გამოყენებისაგან.

ინფორმაციის კლასიფიკაციისა და მართვის პოლიტიკა

ინფორმაციული რესურსების გამოყენებაზე პრევენციული და დეტექციური კონტროლის გაუმჯობესების მიზნით, საჭიროა ინფორმაციის არქიტექტურული ინფრასტრუქტურის შექმნა, ინფორმაციის მართვა რეგულირდება, აღნიშნული დონეების მიხედვით და მოიცავს ინფორმაციის მარკირების, გადაადგილების, წვდომის მინიჭების, შენახვისა და განადგურების წესებს.

შეტყობინების მართვის პოლიტიკა

პოლიტიკის მიზანია, ხელი შეუწყოს დამსაქმებელ კომპანიაში ისეთი გარემოს ჩამოყალიბებას, სადაც ოპერატიულად იქნება გამოვლენილი და აღკვეთილი ნებისმიერი შეუსაბამობა თუ დარღვევა. სწორედ კომპანიაში დასაქმებული ადამიანები არიან თვითმხილველნი მათ ირგვლივ არსებული დარღვევებისა. პოლიტიკის თანახმად, დამსაქმებელი კომპანია უზრუნველყოფს განმცხადებელი პირის ანონიმურობას, მისი განცხადება განიხილება სრული პასუხისმგებლობით და კონფიდენციალურობის მკაცრი დაცვით.

პარტნიორთა საერთო კრების უფლებებისა და მათი განხორციელების წესების მიმოხილვა

პარტნიორთა კრება კომპანიის უმაღლესი მმართველობითი ორგანოა, პარტნიორი უფლებამოსილია მართოს კომპანია, როგორც უშუალოდ, ისე წარმომადგენლის საშუალებით. რიგითი პარტნიორთა კრება იმართება წელიწადში ერთხელ, სამეურნეო წლის დამთავრებიდან ორი თვის ვადაში. დამატებითი დეტალები მმართველობითი უფლებამოსილების მქონე ორგანოს შესახებ მოცემულია კომპანიის წესდებაში.

არაფინანსური ანგარიშგება

ჩვენი გუნდი

შპს ,,ქართუ უნივერსალში" დასაქმებულია დაახლოებით 700-მდე თანამშრომელი. უამრავი კანდიდატიდან, კომპანია არჩევანს აკეთებს ყველაზე მოტივირებული და მონდომებული პირების სასარგებლოდ. კომპანიის საქმიანობის წარმატებულად წარმართვაში არსებით როლს ასრულებს ადამიანური რესურსი, ამიტომ ვცდილობთ შევქმნათ ოპტიმალური პირობები ეფექტური შრომისა და კარიერული განვითარებისათვის. თანამშრომელზე ორიენტირებული მიდგომის საბაზისო საყრდენი სამართლიანობაა, რომელთა გამოვლენას კომპანია ცდილობს ადეკვატური ანაზღაურების, დამატებითი ბონუსების გაცემითა და დივერსიფიკაციის პატივისცემით, რომელიც აუცილებლად ახასიათებს ადამიანთა ნებისმიერ ფართო წრეს.

კომპანია იზიარებს და იღებს მის წილ პასუხისმგებლობას დასაქმებულების წინაშე, თუმცა სანაცვლოდ მათგანაც მოითხოვს კეთილსინდისიერ და გონივრულ დამოკიდებულებას საქმის მიმართ, რაზეც ნათლად მიუთითებს კომპანიის შრომის შინაგანაწესი და ეთიკის კოდექსი.

ჯანსაღი გარემო შრომისათვის

აღსანიშნავია, რომ საქმიანობის დაწყებიდან დღემდე შპს ,,ქართუ უნივერსალი" მიმართ არასოდეს აღძრულა საქმე შრომით დავებთან დაკავშირებით. კომპანია აცნობიერებს, რომ თანამშრომლები კომპანიის წარმატების საწინდარია, ამიტომ ცდილობს განურჩევლად ყველას შეუქმნას თანაბარი შესაძლებლობები განვითარებისათვის. აღსანიშნავია, რომ კომპანია მკაცრად იცავს თანამშრომლებისა და მომხმარებლების პერსონალურ მონაცემებს, რისკების ადეკვატური დაცვის მექანიზმები პერიოდული გადახედვისა და განახლების საგანია.

ჯანმრთელობა და უსაფრთხოება სამუშაო ადგილზე

კანონმდებლობა ადგენს უსაფრთხოების მინიმალურ სტანდარტებს, შპს ,,ქართუ უნივერსალი" ცდილობს საერთაშორისოდ აღიარებული საუკეთესო პრაქტიკა გაითავისოს და შეუქმნას თანამშრომლებს შრომისთვის უსაფრთხო და ჯანსაღი გარემო.

კომპანიას საკუთრებაში გააჩნია შენობები, ამ შებონებში განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინფრასტრუქტურა, თანამშრომლებს უტარდებათ ტრენინგი, თუ როგორ მოიქცნენ უბედური შემთხვევების თავიდან ასაცილებლად და როგორ მოახდინონ სწრაფი რეაგირება სტიქიურ უბედურებებსა და გაუთვალისწინებელ შემთხვევებზე.

შექმნილია ბიზნესის უწყვეტობის მართვის პოლიტიკა და გამოყოფილია საკვანძო თანამშრომელთა ჯგუფი, რომელიც პასუხისმგებელია კრიზისული სიტუაციის მართვაზე.

კორუფციასთან ბრძოლა

კომპანიის ფარგლებში დაუშვებელია კორუფცია და ქრთამის აღება/მიცემა, მიუხედავად მისი ოდენობისა და გამოხატვის ფორმისა. კომპანია მკაცრად აფასებს ნებისმიერ ქმედებასა თუ ტრანზაქციას, რომელიც შეიძლება აღქმული იქნეს, როგორც არამართლზომიერი გავლენა კომპანიისკენ მიმართულ გადაწყვეტილებებზე. ამ სფეროს დასარეგულირებლად შპს ,,ქართუ უნივერსალი" იყენებს, საკმაოდ ვრცელ პოლიტიკას „ინტერესთა კონფლიქტის მართვის თაობაზე“, ხოლო კონკრეტულად განსაზღვრული სტრუქტურული ერთეული ახორციელებს კონტროლს, რათა ნებისმიერი თანამშრომელი და კომპანიის მიერ თუ კომპანიაში განხორციელებული ქმედება იყოს შესაბამისობაში ამ პოლიტიკასთან.

ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე პასუხისმგებელი პირი

მმართველობითი ანგარიშგების წარდგენაზე პასუხისმგებელია კომპანიის მართვაზე უფლებამოსილი პირი

დირექტორი. გიორგი ჭყონია

შპს "ქართუ-უნივერსალი" "KARTU-UNIVERSAL" Ltd
GEORGIA * 20488574 *